რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 29 ნოემბერი 1917 წ.

ერთობა

ფასი 15 კაპ.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 3 მან. 85 კაპ., ცალკე ნომერი ყველგან 15 კ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 3 მ. საჩქარო განცხადება უნდა მოიტანონ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საა. საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მოწერისათვის ფული ... სით. უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почтов. ящ. 199. Редакція ... რესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადად მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 208

ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა.

№ 208

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულ დათუთქმულნი: მეუღლე ქეთე ნიკოლაოზის ასული, შვილები ქრისტინა და ოტია, დები: ივლიტა, თეო და მაშიკო ქმრებით, რძალი ქეთინა (გეგეჭკორისა) სვიმონის ასული, ძმები: ალექსანდრე, სპირიდონ და დომენტი, ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფას

ლავრენტი ოტიას ძე ბენდუქიძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება დღეს, 29 ნოემბერს სოფ. ბაჯში (ქვემო რაჭა).

დიდით დამწუხრებული მეუღლე რაფიელ შვილებით: ანასტასი, ზინა და არკადი კეკელიძეები; მისი გათხოვილი შვილებით: ერმილე, ქსენია, სონია და სოფიო რამიშვილები, რძალი: ირინე, გერასიმეს ასული რამიშვილისა; მაზლები არჩილ და ანდრო კეკელიძეები, რძალი რუსუდან კონსტანტინეს ასული კეკელიძისა, დედამთილი ეკა ბიჭიას ასული კეკელიძისა, მამამთილი გიორგი კეკელიძე, მულები: ქეთევანე და ელენე კეკელიძეები აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ ტრაგიკულად გარდაცვალებას ძვირფასი დედა-მეუღლის

რებეკა გიორგის ასულის კეკელიძისას

რომელიც მოხდა ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ დაბა სამტრედიაში. გასვენება სამტრედიიდან მოხდება სამშაბათს 28 ნოემბ. დაკრძალვა სოფ. ... 30 ნოემბერს ამისათვის ვაცნობებთ ნაცნობ ნათესავებს დაესწრონ აღნიშნულ დღეს.

განცხადება

თფილისის ქალაქის სამმართველო მოუწოდებს ყველა ბინის დამქირავებელთ, რომლებიც თავიანთ ბინიდგან აქირავებენ ორ ოთახზედ მეტს თავის მოწყობილობით, წარუდგინონ ქალაქის სამმართველოს არა უგვიანეს 1917 წ. 5 დეკემბრისა შემდეგი ცნობები:

1—რიცხვი მათ მიერ გაქირავებულ ოთახებისა,
2—თვითეულ ოთახში მცხოვრებ მდგმურებთა რიცხვი.
3—თვითეულ ოთახის ქირის რაოდენობა.

2—2

თფილისის ქალაქის სამმართველო.

კბილის საექიმო
და ლაბორატორია ხელოვნური კბილებისა
დაარსებული
ბ. ზაიკინა-შინკარევის
მდებ., თფილისი, მიხეილის პრ. ს. № 76.
ავადმყოფები მიიღება განუწყვეტლივ
დილით და ღამით
ღამით მორიგეობა შეიძლება.

ექიმი შ. შ. ჯაფარიძე
ტომსკის უნივერსიტეტის ქირურგიულ კლინიკის ორდინატორი ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებებით ყოველ დღე 5—5 ნახ. საათამდე. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რიწოვის ქუჩა, № 19

ექიმი
ბ. დონხინი
ყოფილი ასისტენტი პარიზის მაიკლ კლინიკისა იღებს
თვალის ავადმყოფებს.
დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე.
მიხეილის პრ., 76, (ნიკოლოზის კბილის საექიმო).

ექიმი
დ. ი. ჟორდანია
იღებს ავადმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (ვერაზე).

ექიმი ბ. შ. მეხაძე
იღებს ხელოსნებური ავადმყოფებს საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ... ... სახ. შენობის პირდაპირ, სახ. ... ნაშვილისა. ტელეფონი № 5—77.

კბილის ექიმი
მამულაიშვილი-ხოდნევისა
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე გარდა კვირისა, ოლღის ქ. № 22.

ქალთა ექიმი
ვლ. ი. თავართქილაძე
დაბრუნდა და იღებს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყველაფრის ღვინო, კანის ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასაჟი და ელექტრიზაცია. ტიგრანიანის ქუჩა, № 4

ექიმი პ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებათა
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა.
მელიქოვის ქუჩა, № 4, სასტუმრო ... პირდაპირ. ტელეფ. 15—00.

მედიცინის დოქტორი
გ. გ. მუხრანელი
ხამოიღეთ და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა სხივებით. დიდი სამკურნალო ბოსტნის ტოკით წამლობის, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველდღე დილის 9—1 საათამდე, საღამოს 6—8-მდე. ბებუთოვის ქუჩა № 23, ტელეფონი 7—92.

ხელმოწერე ლიტერატურის გამოცემანი.

(სამხარეო კომიტეტის ბიურო, გოლოვინის პროსპ. № 12).

1. ს. დ. პ. პროგრამა ქართულად	10 კ.
2. ს. დ. პ. პროგრამა რუსულად	10 „
3. ს. დ. პროგრამა სომხურად	10 „
4. ს. დ. პროგრამა თათრულად	10 „
5. მუნიციპალური პროგრამა რუს.	5 „
6. მუნიციპალური პროგრამა ქართ.	5 „
7. ძირს სოც. დემ. ბრალდება რუს.	20 „
8. სოც.-დემ. და ქალაქის თვითმმართველობა რუსულად	20 „
9. ... წიგნაკი ქართულად	20 „
10. ოთხი ძმა ქართულად	35 „
11. კომუნისტური მანიფესტი რუს.	20 „
12. კომუნისტური მანიფესტი ქარ.	25 „
13. დემოკრატიული რესპუბლიკა ქარ.	25 „
14. დამფუძნებელი კრება რუსულ.	25 „
15. ნ. ჟორდანია—ნაც. კითხვა ქართ.	30 „
16. კრიტიკა აგრარული პროგრამისა პ. მასლოვისა, რუს. ენაზე ფასი	15 „
17. უწყება, მე-6 საოლქო თათბირისა (კონფერენციისა) რ. ს.-დ. მ. პ. ქართ. ენაზე ფასი	25 „
18. იგივე უწყება რუსულ ენაზე ფასი	20 „
19. დროებითი წესები ქალაქის სახ. ხმოს. არჩევნებისა ქართ. ფასი	10 „
20. რა უნდათ სოციალ-დემოკრ. რუს.	20 „
21. რა უყოთ მიწას პ. მასლოვისა, რუს.	
22. საფრანგეთის რევოლუცია 1848 წ. ნ. ჟორდანიასი ფასი	65 „

იბეჭდება და მალე გამოვა:

1. ერფურტის პროგრამა კ. კაუცკისა.

ამხანაგებო! ვაცხადებთ: პროვინციელ ორგანიზაციებს დაეთმობათ, რომლებიც 50 ცალ ნაკლებს არ გამოიწერს ოცი პროცენტი იქ სადაც ბიუროთი არ შეიძლება გაგზავნა, არამედ ფოსტით უნდა იქნას გაგზავნილი, პროცენტი ეთმობათ 15 კ. მანეთზე. ფული უნდა იქნას წინდაწინ გამოგზავნილი, ფასდადებით ბროშურები არავის გაეგზავნება.

ამხანაგებო! გამოიწერეთ ბროშურები, გაავრცელეთ ხალხში, რომ ამით საშუალება მოგვეცეს სხვადასხვა ახალი ბროშურები გამოვცეთ და გავავრცელოთ ხალხში.

ფული და წერილები მიიღება შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Бюро областного комитета закавк. организацій Р. С. Д. Р. П. Головинскій № 12.

ბოლშევიკების თვით-მპყრობელობა

ბოლშევიკების „პროლეტარული“ თვითმპყრობელობა ხიშტებზე მაგრდება. თავისუფალი პრესა, თავისუფალი აგიტაცია ლენინ-ტროცკის მიმდევრებისათვის უფრო საშიშია, ვიდრე სოციალური, თავისუფალი ძალთა განწყობილების ორგანოს სალტებს უპირებენ.

ის რაც ამ ჟამად პეტროგრადში ხდება, ის რაც პეტროგრადის სოციალისტური პრესა შევიწროებას განიცდის, ამას მსგავსი მან ნიკოლოზ მეორის ბატონობის დროსაც კი არ განუცდია და სოციალისტური აზროვნების თავისუფლებას ასეთი ჯალათი არას დროს არ უნახავს.

არქ-რეაქციონერმა ბისმარკმაც კი იცოდა, რომ სახელმწიფოს ხიშტებზე გაჩერება, თავისუფალ იდეის „ჯავშნიან მუშტით“ ჩაკვლა შეუძლებელია და ამიტომ იგი ამ „სახიფათო“ ბრძოლის იარაღს ხშირად მოერიდებოდა. ბისმარკმაც კი იცოდა, რომ სახელმწიფოებრივი ძალთა განწყობილება სახელმწიფოებრივი კლასების ეკონომიურსა და პოლიტიკურ ინტერესებზე გამაგრებულია და თუ რომელიმე პოლიტიკოსს სწადია, თავის გარშემო ძლიერი მასიური მოძრაობა შექმნას, მან აუცილებლად ამ ფორმით მასის ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესების დაკმაყოფილება მიზნად უნდა დაისახოს. მან ერთხელ გერმანიის სოციალდემოკრატიას საარჩევნო უფლება მისცა და ამ გზით ოპოზიციონურ ბრძოლას დაუტყუა. ხშირად იგი მუშებს ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებელ კანონსაც კი სცემდა და ამ სახით ცდილობდა მასის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

ერთი სიტყვით, ყოველი ძალა სახელმწიფოს მასის სურვილების დაკმაყოფილებაზე ემყარება და იგი ხიშტის ძალმომრეობას თავის ბატონობის გრძელ-გრძელ ბრძოლის იარაღად არ აღიარებს. ეს ნაცადი გზაა, მხოლოდ აბსოლუტური დესპოტიური მთავრობები და ყველანაკლებიც ბრძოლის იარაღებში არ ერკვევა. სწორედ ასე იქცევიან რუსეთისა და ამიერ კავკასიის ბოლშევიკები და თავიანთ ანარქო-ბლანკისტური გზით პირ ძალით უნდათ რუსეთის უბედურებას მოახვიონ.

დღეს მთელს იმპერიაში დამფუძნებელი კრების არჩევნები თითქმის სრულდება და ხალხის ნება სრულიად აშკარაა; თუ იმ პოლიტიკური მიმდინარეობის გარშემო თავს იყრის და თავისი ინტერესების დაცვას ამას თუ იმ კანდიდატებს ანდობს. შედეგები თითქმის გამორკვეულია, ისიც გამორკვეულია, რომ ბოლშევიკები სულ პაწია უმცირესობას წარმოადგენენ და დიდი უმრავლესობა მათი უაზრო ტერორისა და ანარქიზმის წინააღმდეგია. ეს კარგად იციან ავანტიურისტებმა და ამიტომაც არიან ასე ნაზად ამ თავიდანვე, ავანსით დამფუძნებელი კრების გარეკვას იმუქრებიან.

ბოლშევიკების გეგმა მასიური სურვილები, ხალხის ძალთა განწყობილება მუქარის სიტყვებით და ასეთი წვრილი ტაქტიკური ანარქისტული მეთოდებით იბრძვიან. ცდილობენ ჯარის, ანარქო-ბლანკისტურ სექტანტურ საზოგადოების მიზნით სოციალისტური რევოლუციის მოხდენა დაუსახავს და ვინც მათ ასეთ რევოლუციონურ მიდგომას არ იზიარებს მას ჯარისკაცების ერთი ნაწილი მაუზერით, ტყვიამფრქვევებით ემუქრება, სადაც ძალა შესწევთ—ეს სისრულეში მოჰყავთ და სოციალ-დემოკრატიულ პრესა-ორგანიზაციებს ანადგურებენ. დღეს „მილიტარისტული სოციალიზმის“ მოტრფიალენი ხიშტის ძალას პირველ რიგში აყენებენ და ხიშტის მეოხებით უნდათ თავიანთ ანარქო-ბლანკისტური იდეის განხორციელება.

რუსეთის სინამდვილეში პროლეტარიატის დიქტატურა შეუძლებელია, და თუ ავანტიურისტები ცდილობენ ხიშტის მეოხებით სოციალისტური რევოლუცია მოახდინონ, ასეთი ამით სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას დიდ უბედურებას დაატეხენ. არა ერთხელ აღვნიშნავს, რომ პროლეტარიატის მიერ მოთავეობა ფრიადად გაგრძელებს პროლეტარიატის მიერ უდროოდ ძალა-უფლების ხელში აღებას პროლეტარიატისათვის დიდ უბედურებად თვლიდა.

და ვინა დღეს რუსეთის საწარმოო ძალთა განვითარება, ობიექტური და სუბიექტური პირობები ისეთ დაწინაურებულია, რომ სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ ბოლშევიკების სოციალისტური რევოლუციას ხმა დაუჭიროს და მით მთელი მუშათა კლასი ანარქიზმის მორევში გადაუძახოს? ასეთ მიზნისათვის პროლეტარიატს, მეცნიერული სოციალიზმის ნიადაგზე დამყარებულ მუშათა კლასს, არაფერი საერთო არა აქვს და მასთან ყოველგვარ კავშირს სწყვეტს. არც ერთ ევროპიულ სახელმწიფოში, სადაც კი თანამედროვე მარქსისტულმა მუშათა მოძრაობამ ფეხი მოიკიდა და სოციალ დემოკრატიული პარტია არსებობს—ანარქისტებთან არავითარ კავშირს არ კრავენ. თვით ინტერნაციონალი კონგრესებზედაც კი არ იწვევენ და მათ პოლიტიკურ მიმდინარეობის გამომხატველად არ სთვლიდნენ. სოციალ-დემოკრატების შეგნებულ შეხედულების მიხედვით დღეს რუსეთში—რუსეთის მუშათა კლასი დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რევოლუციას ახდენს და არა სოციალისტურს. ამ რევოლუციაში სოც.-დემოკრატია იცავს მუშათა კლასის ინტერესებს, მის მიერ რევოლუციაში მოპოვებულ უფლებებს და ამ უფლებებს იგი დროის და გარემოების მიხედვით აფართოებს. ამავე დროს სოციალ-დემოკრატიული პარტია ყველა რევოლუციურ ძალებს აკავშირებს, მათ ხელმძღვანელობს და ქმნის ძლიერ რევოლუციონურ ფრონტს, რომელიც უზრუნველყოფს რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას.

სოციალ-დემოკრატია წინააღმდეგია ბოლშევიკების სოციალისტური რევოლუციის, ვინაიდან რუსეთი და რუსეთის ხალხი ამისათვის არ არის მომზადებული. და ვინც სოციალისტური რევოლუციის განხორციელებას ხიშტებით ცდილობენ და პოლიტიკური ბრძოლის საშუალებათ თვითმპყრობელის მეთოდებს ხმარობენ, მათთან ჩვენ კავშირს ვერ დავიჭერთ და პრინციპიალური შეთანხმებაც შეუძლებელია. ვინ ანარქო-ბლანკისტები და ვინ სოციალდემოკრატები. ბოლშევიკებსა და სოციალ-დემოკრატიულ პარტიას შორის ღრმა უფსკრული გაითხარა და ხიდის გადება მოუხერხებელია. დღეს ბოლშევიკებმა თვითმპყრობელის ბრძოლის საშუალებით სოციალისტური რევოლუცია განახორციელონ და ჩვენ ასეთ რევოლუციის განხორციელებაში წილი არ გვიდევს. დღეს ისტორია იყოს მოსამართლე და მან დასდოს ბოლშევიკებს სწორი და შეუბრალებელი მსჯავრი.

* * *

წოდებათა გაუქმება და ერობის შემოღება

ამიერ კავკასიის დემოკრატიის აღმასრულებელმა ორგანომ—კომისარიატმა—დეკრეტით გააუქმა წოდებრივი უპირატესობანი და ერობა შემოიღო.

ბრძენ იურისტებს რომ ვკითხოთ, კომისარიატს დამფუძნებელ კრებისათვის უნდა მოეცადა, მხოლოდ დამფუძნებელ კრებას შეუძლია ზემოთ აღნიშნული ზომების ცხოვრებაში გატარება.

იურისტების ეს მოსაზრება იმდენადვე უმართლო, რამდენადაც უსაფუძვლო იყო მათივე აზრი, რომელიც თავის დროზე თვითმპყრობელობის კანონებს ამართლებდა.

წოდებრივმა უპირატესობებმა დიდი ხანია დრო მოჭამა, მათი არსებობა აშკარა შეუსაბამობა გახდა. მას შემდეგ, რაც მეფის თვითმპყრობელობა დაინგრა, მას შემდეგ, რაც დროებითმა მთავრობამ სრულიად გააუქმა მეფობა და რუსეთში რესპუბლიკა გამოაცხადა, ცხადია, ადგილი ვერ ექნება ვერავითარ წოდებრივ უპირატესობას. ამ წოდებრივ უთანასწორობაზე იყო დამყარებული ერთის მხრით თავად-აზნაურთა საკრებულო, მეორეს მხრით გლეხთა ყრილობები, ერთის მხრით „მიროვოი პოსრედნიკები“ მეორე მხრით სამღვდელო სამმართველოები და სასამართლოები. ამიერიდან ყველაფერი ეს ერთი დეკრეტით ისპობა: აღარ არის თავადი და აზნაური, გლეხი და მოქალაქე. ყველა თანასწორია კანონის წინაშე. თუ დღემდის ზოგს პრივილეგიებით და შეღავათებით ასხვავებდნენ, თუ მათ ამ ხარისხის შესაფერი უფლებებიც ქონდათ, თუ გლეხი იძულებული იყო თავისუფალი პირადი ზედგარი და სამსახურით დღემდის ყველაფერი ეს ისპობა, სამარეს ბარდება. დღეიდან კანონის წინაშე ყველა თანასწორია, ყველა რესპუბლიკის მოქალაქეა. იგი ქვეშევრდომი დიდი და პატარა და არის მხოლოდ მოქალაქე.

ამ გაუქმებულ წოდებრივ ურთიერთობაზე დამყარებული იყო სხვადასხვაგვარი ადგილობრივ მმართველობის ორგანოები. ეს მართველობა მიკუთვნილი იყო ერთგვარ გვარს, სისტემას, ზოგი აზნაურს სცემდა, ზოგი გლეხს, მაგრამ ყველანი მშრომელი ხალხის დაბეჩავებას უწყობდა ხელს. დღეიდან ეს ძველი ანარქიული ცხოვრების პირობები ქრება. ამავ კომისარიატის დეკრეტით დაუყოვნებლივ უნდა შემოღებულ იქნას ერობა.

ერობა—ეს ადგილობრივი თვითმართველობაა. ერობა დიდი ხანია შემოღებული იყო რუსეთში, მაგრამ ეს არ იყო ნამდვილი ერობა, რადგან იქ ბატონობდენ მდიდრები, საარჩევნო ხმა მხოლოდ მდიდრებს ჰქონდა და ბოლოს ეს მდიდართა კრებულიც პოლიციის ყურმოჭრილ ყმად იყო გადაქცეული, მას დარაჯობდა ფხიზელი თვალი გუბერნატორების და მინისტრებისა.

ჩვენი ერობა ნამდვილი ერობა იქნება.

ის გამომხატველი იქნება მთელი ხალხის, ყველა ადგილობრივ მცხოვრებთა ნება-სურვილებისა. ყველა სრულ წლოვანი მოქალაქე, როგორც კაცი, ისე ქალი, მონაწილეობას მიიღებს ერობის არჩევნებში, არავითარი მნიშვნელობა არ ექნება ქონებრივ განსხვავებას.

ერობა სრულუფლებიანი პატრონი იქნება ადგილობრივი ცხოვრების.

ბიუროკრატიული მეცნიერები ბრძნულად გვიმტკიცებდნენ,—ერობა მხოლოდ სამეურნეო და კულტურულ საქმეებს უნდა აწარმოებდესო. გზების და ხიდების გაკეთება, არხების გაყვანა, სავადმყოფოების გაშენება, საავადმყოფოების და თავშესაფრების მოწყობა—აი ის წრე, რომელშიაც უნდა ემოქმედნა ერობას.

სულ სხვაა ის ერობა, რომელიც ჩვენ უნდა შემოვიღოთ. ეს ერობა, როგორც უკვე ვთქვით, სრული უფლებებით იქნება აღჭურვილი. მან უნდა მოაწყოს თავდაპირველად ხალხის დაცვის საქმე, უნდა შექმნას მილიცია. ეს მილიცია დაემორჩილება ერობას. ერობა არჩევს მას, ერობა უნიშნავს ჯამაგირს, ერობა აძლევს მას სამოქმედო ინსტრუქციას და საჭიროების დროს, ერობა ითხოვს მას სამსახურიდან.

ერობის საქმე იქნება აგრეთვე სკოლის და სასამართლოს მოწყობა. ერობა აირჩევს მასწავლებლებს და მოსამართლეებს, ეს უკანასკნელები დაემორჩილებიან არა თითო-ოროლა მოხელე პირების ბრძანებას, არამედ მთელს ხალხს.

ერობას ფული სჭირია. ის თითონ შეაგროვებს ამ ფულს, თითონ გააწერს ადგილობრივ გადასახადებს შეძლების მიხედვით.

ერობის მაგიერობას ჩვენში რევოლუციის შემდეგ აღმასრულებელი კომიტეტები ასრულებდნენ. მაგრამ ეს კომიტეტები მოკლებულნი იყვნენ და არიან უფლებას ჩაერიონ სკოლების და სასამართლოების საქმეებში. მათ მხოლოდ მილიციის მოწყობის ნება აქვთ, მაგრამ მოკლებულნი არიან გამონახონ არსებობის წყარო, ნება არ აქვთ გააწერონ გადასახადები. ამიერიდან ეს კომიტეტები გაუქმდება და მათ ადგილს დაიჭერს ერობა. არეულობის და უსამართლობის მოსპობა, ერთგვარი წესის შექმნა და მცხოვრებთა ინტერესების სამსახური—აი რა ევალება ერობას.

დეკრეტი უკვე გამოცემულია. საარჩევნო სიები—ის სიები, რომელიც დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის იქნა შედგენილი—ხელთა გვაქვს. მალე გამოცემა წესები, თუ როდის და როგორ უნდა მოხდეს არჩევნები. ერობა საჭიროა, სხვათა შორის, მიწის საკითხის მოსაწესრიგებლად. მიწების ჩამორთმევა მემამულეებისა და ეკლესია-მონასტრებისაგან უკვე გადაწყვეტილია. სულ რამდენიმე დღეში გამოვა საჭირო ბრძანება, დეკრეტი. თუ როგორ უნდა განაწილდეს ეს ჩამორთმეული მიწები—ეს ხალხის მიერ არჩეულმა, ერობამ უნდა მოაწყოს.

ცხოვრებაში ახალი ხანა იწყება. მაშ ვემზადოთ ამ არჩევნებისათვის!

* * *

თფილისის მცხოვრებთ

კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის დადგენილების თანახმად და ამიერ კავკასიის კომისარიატის თანხმობით, თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტი აცხადებს ქალაქ ტფილისში სამხედრო წესებს.

ეს საგანგებო ზომები გამოწვეულია მით, რომ მცხოვრებთა ზოგიერთი ნაწილები შიშმა შეიპყრო და რაღაც უბედურებას მოელის. უპასუხისმგებლო ჯგუფები და კერძო პირები ცდილობენ ერთი სამხედრო ნაწილი მიუსიონ მეორეს და გამოიწვიონ ძმათა შორის ხოცვა-ჟლეტა და რბევა. ყოველივე ამის თავიდან ასაცილებლად და რევოლუციონური წესრიგის დასამყარებლად თფილისის აღმასრულებელი კომიტეტი მოუწოდებს როგორც მოქალაქეებს, ისე სამხედრო ნაწილებს უსიტყვოდ შეასრულონ შემდეგი განკარგულებანი:

1. უპირობოდ აღკრძალულია ყოველ გვარი

კრებების და მიტინგების გამართვა ქუჩებში და მოედნებზე.

2. აღკრძალულია პრესის ან სიტყვიერ პროპაგანდის საშუალებით ერთი ერის მეორე ერის ან ერთი სამხედრო ნაწილის მეორე სამხედრო ნაწილის ან მცხოვრებთა წინააღმდეგ აღძვრება.

3. რევოლიუციონურ მთავრობის ყოველივე განკარგულების წინააღმდეგ მოქმედება, სულ ერთია—სამოქალაქო მცხოვრებთ თუ სამხედრო ნაწილებს შეეხება ის, ჩაითვლება რევოლიუციის საქმის ღალატად და დამნაშავე სასტიკათ დაისჯება.

4. ყველა სამოქალაქო და სამხედრო მთავრობა, აგრეთვე ყველა კერძო და საზოგადოებრივი დაწესებულებები ვალდებული არიან უსიტყვოთ დაემორჩილონ აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულებას.

5. ამ დადგენილების დამრღვევნი დაისჯებიან დატუსაღებით, ან დანაშაულის მიხედვით სამხედრო რევოლიუციონურ სამართალში იქნებიან მიცემული.

ქალაქ თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ამხანაგო ჯარისკაცებო!

ბოლშევიკების გამოსვლამ რევოლიუციონური დემოკრატია ორად გაჰყო. ძმა ძმაზე აღმხედრდა, ჯარისკაცი თავის ამხანაგის სისხლსა ღვრის. ლენინის მთავრობა, რომელიც გარდა ბოლშევიკების პარტიისა არავინ იცნო, ღუპავს მთელ რუსეთს, ძირს უთხრის მის ფინანსიურ და სასურსათო საქმეს და სახელმწიფოს მთლიანობას ემუქრება. ეს მთავრობა შეგპირდათ თქვენ დემოკრატიულ ზავის ჩამოგდებას და ფაქტიურათ კი გმირ რევოლიუციონურ ჯარს და მოკავშირის სასტიკი მტრის ნემეცთა იმპერატორ ვილჰელმის ფეხთა ქვეშ იარაღი დააყრევინა და მონურათ ქედი მოახრევინა. ლენინი შეგპირდათ თქვენ სრულ თავისუფლების დამყარებას და ნამდვილათ კი, ჩაახრჩო სოციალისტური პრესა და ქვეყანაში ძალადობა და თვითნებობა გაამეფა.

ქვეყანა უფსკრულის პირად დგას.

ამხანაგებო! დაიცავით რევოლიუცია და ქვეყანა!

ამხანაგო ჯარისკაცებო! ლენინის ბატონობამ მთელ ქვეყანაში ანარქია გაამეფა. არ არის ყველასაგან აღიარებული დემოკრატიული მთავრობა. პროვინციები ფაქტიურათ ჩამოშორდნენ ცენტრს. შეიქმნა განსაკუთრებული მთავრობები დონში, ყუბანში და თერგის ოლქში. ამიერ კავკასიისა და ცენტრის შუა კავშირი გაწყდა. ამიტომ კავკასიის დემოკრატიას სხვა გზა არ დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ შეადგინა ამიერ კავკასიის კომისარიატი, დროებითი მთავრობა, რომელმაც მიზნათ დაისახა დამფუძნებელ კრებამდე ამიერ-კავკასიაში რევოლიუციონურ წესრიგის დაცვა.

სახელოვან კავკასიის ჯარს, რომელიც სპარსეთის და ოსმალეთის საზღვრებზე იბრძვის და ზურგს უკან შიმშილი მოელის, ამიერ-კავკასიის კომისარიატმა ენერგიული ზომები მიიღო უზრუნველჰყოს სურსათით ფრონტი და ზურგი. ამიერ-კავკასიის კომისარიატმა გამოაცხადა დროებითი ზავი ოსმალეთის ფრონტზე, გამოსცა დეკრეტი ამიერ-კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ და ამ დღეებში გამოსცემს დეკრეტს ყველა საუფლისწულო, სამონასტრო, საეკლესიო და მემამულეთა მიწების ჩამორთმევის და ამ მიწების კომიტეტების ხელში გადაცემის შესახებ.

ყველა რევოლიუციონური პარტიები, ამიერ კავკასიის ყველა ერები სცნობენ ამიერ კავკასიის კომისარიატს ადგილობრივ მთავრობათ და სავსებით მას მხარს უჭერენ.

ამიერ კავკასიის კომისარიატი თავის მოქმედებაში პასუხისმგებელია ამიერ-კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების ცენტრის წინაშე და სრული მისი ნდობით აღჭურვილი.

ამიერ კავკასიის კომისარიატი თავის ადგილს დაუთმობს სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებას და რუსეთის დემოკრატიულ სოციალისტურ მთავრობას.

ამხანაგებო! ადგილობრივ ბოლშევიკებს უნდათ გამოიწვიონ სამოქალაქო ომი. ბოროტებით აღვსილი უგნურნი მოგიწოდებენ თქვენ აღსდგეთ სახალხო მთავრობის, ამიერ კავკასიის კომისარიატის წინააღმდეგ. ყველა ადგილობრივი რევოლიუციონური დემოკრატია, ყველა მუშები, მთელი გლეხობა, ამიერ კავკასიის ყველა ეროვნება მტკიცეთ დაიცავს ამიერ კავკასიის კომისარიატს. თქვენ მოგიწოდებენ არ გადასდგათ უგნური ნაბიჯი.

არ ჩაგითრიოთ ამ პროვოკაციამ!

ამხანაგო ჯარისკაცებო! თქვენ გეუბნებიან თითქოს ამიერ კავკასია უნდა გამოეყოს რუსეთს. არ დაუჯეროთ პროვოკატორებს! ამიერ კავკასიის დემოკრატია მუდამ ხელი-ხელ ჩაკიდებული მიდიოდა და მიდის მთელი რუსეთის რევოლიუციონურ დემოკრატიასთან ერთად.

თქვენ მოგიწოდებენ კავკასიის დემოკრატიასთან საბრძოლველად.

არ დაუჯეროთ უგნურებს: მათ უნდათ თქვენი სისხლი დაიღვაროს. მჭიდროთ შემოკრბით მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების გარშემო და კავკასიის დემოკრატიასთან ერთად ეცადეთ მოიპოვოთ ზავი, მიწა და თავისუფლება.

გაუმარჯოს რევოლიუციონურ დემოკრატიის გაერთიანებას!

გაუმარჯოს ერთა შორის ძმობას და სოლიდარობას!

გაუმარჯოს ზავს, მიწას და თავისუფლებას!

რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ამიერ კავკასიის ორგანიზაციების საოლქო კომიტეტი.

მუშათა და ჯარის-კაცთა დეპუტატ.
საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის

ბრძანება
ქალაქ თფილისისთვის

1. ქალაქის მილიციას.

ქალაქის მილიციის უფროსს ევალება, გააძლიეროს ქალაქის „პოსტები“. ის მილიციონერი, რომელიც თავის ნებით დასტოვებს „პოსტს“ დაისჯება სამი თვით ციხეში ჩასმით და დათხოვნილ იქნება სამსახურიდან. მილიცია წითელ-გვარდიასთან და სამხედრო პატრულებთან სრული შეთანხმებით მოქმედებს.

2. წითელ გვარდიის შესახებ.

წითელი გვარდია გამოწვეულია მუშათა და ჯარის-კაცთა დეპუტატების საბჭოს მიერ დაიცვან თფილისში რევოლიუციონური წესრიგი.

ყველა მოქალაქეთ, ყველა მთავრობის, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებებს მოეწოდებათ სრული ნდობით მიეპყრან და მხარი დაუჭირონ წითელ გვარდიას.

ყველა დაწესებულებებს და წარმოებებს, სადაც წითელი გვარდიელები მსახურებენ მიეწერათ მისცენ სრულად მათი ხვედრი ჯამაგირი იმ დროს განმავლობაში, რაც იგინი ქალაქში რევოლიუციონურ წესრიგის დაცვის საქმეს ასრულებენ.

3. საზოგადოებრივ წესრიგის შესახებ.

მილიციას და წითელ გვარდიას ევალება: ა) დაატუსაღოს ყველა ის პირი, რომელიც ძარცვის, ძალადობის და ერთი ერის მეორეზე მისევისთვის მოუწოდებს და თავის მოქმედებით არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და ბ) ნება არ მისცეს არავის ქუჩაში და მოედნებზე კრებების და მიტინგების გამართვის.

4. თფილისის სახლის პატრონებს.

ყველა სახლის პატრონს ევალება: 1) დაუყოვნებლივ შეუდგნენ ეზოების და ქუჩების გაწმენდას; ქუჩები ყოველ ღამე უნდა დაიკეტოს შუაღამიდან დილის 6 საათამდე და 2) ქუჩაში დააყენონ მეეზოვეები, რომელნიც მილიციის ყოველ განკარგულებას უნდა დაემორჩილონ.

ამ დადგენილების დამრღვევნი დაისჯებიან პირველად სამი თვით სატუსაღოში ჩასმით, მეორედ—კავკასიიდან გაძევებით.

5. თფილისის ვაჭრებს.

თფილისის ყველა ვაჭრებმა სასწრაფოთ უნდა შეასრულონ სასურსათო კომიტეტის მიერ შემუშავებული ნიხრი.

ნიხრის დარღვევისა, საქონლის გადამალვის, ხელოვნურათ ფასების აწევის და უმეტესათ პირველ საჭიროების საგნებზე, დამნაშავე დაისჯება სატუსაღოში ჩასმით ან გაძევებით.

6. სასურსათო კომიტეტს.

ქალაქის სასურსათო კომიტეტს ევალება გადასინჯოს ნიხრი და შეუთანხმოს ის ბაზარზე არსებულ ფასებს.

რომ ხალხის ქუჩაში დგომას და დაუსრულებელ „კუდებს“ ბოლო მოეღოს, ამისთვის მიიღოს ზომები მრავალ ადგილებზე გაჰყიდონ პური და სხვა სანოვაგე. პურის შემოტანის შესახებ ცნობა ყოველ დღე შეატყობინოს აღმასრულებელ კომიტეტს.

თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

1917 წ. 28 ნოემბერი.

გაერთიანებული სხდომა

25 ნოემბერს შესდგა რუს. სოც.-დემ. ამიერ კავკასიის ორგანიზაციების საოლქო და თფილისის კომიტეტების, ყველა რაიონული კოლექტივების და რევოლიუციონურ დემოკრატიულ ორგანიზაციების მენშევიკურ ფრაქციათა გაერთიანებული სხდომა, რომელმაც მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

მოისმინა რა მოხსენება ქალაქში შიშიანობის შესახებ, რაც გამოიწვია ბოლშევიკების აგიტაციამ, სოციალდემოკრატიულ პარტიის საოლქო და თფილისის კომიტეტების, თფილისის ორგანიზაციის რაიონულ კოლექტივების, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ამიერ კავკასიის ცენტრის სოციალდემოკრატიულ ფრაქციებს და თფილისის ქალაქის საბჭოს შეერთებულ კრებაზე ერთხმათ დაადგინეს ყოველივე საშუალება ზომები იხმარონ ბოლშევიკების გამოსვლის წინააღმდეგ და ამავე დროს დაუყოვნებლივ მიიღონ ენერგიული ზომები ქალაქში რევოლიუციონურ წესრიგის დასამყარებლათ.

მოისმინა რა კავკასიის ფრონტზე დროებითი შერიგების შესახებ მოხსენება ყველა სოციალდემოკრატიულ ფრაქციების გაერთიანებული კრება იწონებს ამიერ კავკასიის კომისარიატის და ცენტრების გადაწყვეტილებას და ერთხელ კიდევ აცხადებს, რომ აუცილებლათ საჭიროა რუსეთის ფრონტის და ზურგის ყველა რევოლიუციონურ ორგანიზაციებთან სრული კონტაქტის დამყარება ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარების დროს. და წინადადებას აძლევს საოლქო კომიტეტს მიიღოს ყოველივე ზომები ამ კონტაქტის განსახორციელებლათ.

რა ხდება ჩრდილო კავკასიაში?

გუშინ, 28 ნოემბერს ამიერ-კავკასიის კომისარიატმა შემდეგი ცნობა მიიღო ჩრდილოეთ კავკასიაში მდგომარეობის შესახებ:

პირდაპირი მავთულით ლაპარაკი ზ. ა.-სა და კავკასიის რკინის გზის ექსპლოატაციის განყოფილების უფროსის თანაშემწეს გერმანს შორის.

მე გერმანი ვარ, ვლადიკავკაზ აპარატით გროზნის და პეტროვსკს. იქ საშინელი მდგომარეობაა, მოძრაობა სრულიად შესწყდა. ზოგიერთი პატარა სადგურები დაწვეს, მაგ. კადი-იურტი, ახალი „პრომისლები“ დაიწვა, ძველები საშიშ მდგომარეობაშია. მთელ გზაზე სათბობი მასალა აღარ არის. გროზნიდან მოსული ცნობით სამხედრო დახმარებას არსაიდან არ ელიან. ჩაჩნებმა ულტიმატუმი დაუყენეს, რომ გროზნის გარნიზონმა და წითელმა გვარდიამ იარაღი ჩაჩნებს ჩააბაროს. დღეს დილის ორ საათზე, მოძრაობა შესწყდა. გუშინ რკინის გზის გამგეობა ვლადიკავკაზ კარაულოვს, რომელმაც განაცხადა, რომ არავითარი ზომების მიღება არ შეუძლია, გუდერმესიდან საკონტროლო რიტა წავიდა. როგორც მოსული ცნობებიდან სჩანს, ბაქოდან გუდერმესის დასაცავათ წამოსულა 500 ჯარისკაცი და იქ მისულა მხოლოდ ნახევარი. მოძრაობა სულ აღარ არის. სამგზავრო მატარებლები ხანდახან გამოდიან. სად. ჩერვლენაია, უზლოვაია და თვით გუდერმესი სამხედრო მოქმედების ცეცხლშია გახვეული და მოსამსახურეები გარბიან. ასეთივე მდგომარეობაშია გუდერმეს-ხასავ იურტის რაიონიც. დასწვეს კადიიურტი და იოსუფი; სად. პროხლადნიიდან პეტროვსკამდე მთელ გზაზე გროზნის ორთქლმავლები და კონდუქტორები დადიან, ის მთავარ ლიანდაგს სრულიად მოჰკვეთილია. მთელ გზაზე მოძრაობა შესწყდება, რადგან სათბობი მასალა არ არის და თავზარ-დაცემული მოსამსახურენი გარბიან.

მე, ზ. ა., გთხოვთ გაგვაგებინოთ შესაძლებელია თუ არა მოძრაობა არ შესწყდეს.

გერმანი უპასუხებს: არსებულ მდგომარეობის გამო მოძრაობა სწყდება, ნავთი ჯერ კმარა. გუდერმესი ჯერ თავისუფალია, მაგრამ იქ გაძარცვეს 100 ვაგონზე მეტი. მოსამსახურეები თავზარდაცემული არიან, ტელეგრაფი აღარ მუშაობს. რა მოხდება შემდეგში ძნელი სათქმელია. გუშინ სამგზავრო მატარებელი იყო, დღეს არ ვიცით იქნება თუ არა.

როსტოვიდან. 23 ნოემბერს ღამით სადგურ ხანკალის ახლოს ლიანდაგიდან გადააგდეს ორი სამგზავრო ვაგონი, სადაც კონდუქტორები იყვნენ ორთქლმავალით, შემდეგ თოფები დაუშინეს და გაძარცვეს. მოკლულია ექვსი კონდუქტორი და რამდენიმე დაჭრილი.

ახალი ამბები

რუმინიის ფრონტზე როგორც გენ. შჩერბაჩევის დეპეშა იუწყება დროებითი შერიგება მოხდარა 26 ნოემბერს. ჯარებს ებრძანა მდ. დნესტრიდან დუნაის შესართავამდე შეაჩერონ ყოველგვარი სამხედრო მოქმედება. ეს დეპეშა გამოგზავნილია რუმინიის ქალაქ იასიდან 27 ნოემბერს.

სურსათი. გუშინ თფილისში ჩრდილო კავკასიიდან სურსათი არ შემოსულა. ამის მიზეზია კავკასიის რკინის გზაზე თავდასხმით და ძარცვა-გლეჯით გამოწვეული მიმოსვლის არევ-დარევა.

◆ **პურის მაგივრათ სუხარი.** ვინაიდან თფილისში ამჟამათ პურის ნაკლებობაა, სავადმყოფოებს მიეცემათ პურის მაგივრათ სუხარი.

◆ **ფქვილის რეკვიზიცია.** ქალაქის სასურსათო კომიტეტმა ჩამოართვა „ტოვარიშჩესტვოს“ ფაბრიკას 1200 ფუთამდე თეთრი პურის ფქვილი.

◆ 1 დეკემბერს დაიშლება ერობათა და ქალაქთა კავშირის 5 რაზმი.

◆ **სამგზავრო-სამხედრო მატარებლის დამსხვრევა.** 26 ნოემბერს სად. კარაკლისში დაიმსხვრა სამხედრო-სამგზავრო მატარებელი № 639. დაიმსხვრა 20 ვაგონი. სადამსხვრევის ვაგონების ნამტვრევებში იპოვეს 58 დასახიჩრებული გვამი და 91 მძიმეთ დაჭრილი ადამიანი, რომელთაგან 18 უკვე გარდაიცვალა, როცა სავადმყოფოში მიყავდათ. მატარებლის დამსხვრევის მიზეზი შემდეგი ყოფილა: რაზიეზდ არჩუტის ახლოს ვაგონების მთელი შემადგენლობა მოსწყდა თურმე ორთქლმავალს და დაექანა უკან დაღმართში სად. კარაკლისისაკენ. 7 ვერსის მანძილზე მატარებელმა განავითარა თურმე სიჩქარე 60 ვერსი საათში. სად. კარაკლისში ვაგონები დაეჯახნენ ორ ორთქლ-მავალს, რომლებიც წყალს იღებდნენ. ერთი ვაგონი სავსებით დაიმსხვრა, ხოლო მეორე საგრძნობლათ დაზიანდა. ამიერ კავკასიის კომისარიატმა აირჩია საგანგებო კომისია ამ საქმის გამოსაძიებლათ.

◆ **ძარცვა გლეჯა სოხუმის ოლქში.** ოჩემჩირედან იტყობინებიან, რომ სოხუმის ოლქში ძალზე გავრცელებულია ძარცვა-გლეჯა,—22 ნოემბერს გაძარცვეს ფოსტა სდ. მიქვის ნაპირას, წაიღეს 50 ათასი მანეთი.

◆ **თფილისის ქართველი სტუდენტობა** ამ ახლო მომავალში ქართულ კლუბის შენობაში ქართულ უნივერსიტეტის სასარგებლოთ მართავს გრანდიოზულ საღამოს.

◆ **სრულიად რუსეთის საარჩევნო კომისიის წევრთა დატუსაღება.** კავკასიის ფრონტის საარჩევნო კომისიამ მიიღო სრულიად რუსეთის საარჩევნო კომისიასთან არსებულ ფრონტის სათათბირო კომისიის თავმჯდომარე დობრანიცკისაგან დეპეშა სრულიად რუსეთის საარჩევნო კომისიის წევრთა დატუსაღების შესახებ. აღნიშნულ ფრონტის სათათბირო კომისიამ მოითხოვა მის წინააღმდეგაც მიემართათ ასეთივე ზომისათვის. ამ კომისიის ოთხი წევრი, მათ შორის თავმჯდომარეც, უკვე დატუსაღებულია. დაატუსაღეს იმ კომის. წევრები, რომელიც კანონის თანახმად ხელმძღვანელობს მთელ რუსეთში და ჯარში დამფუძნებელ კრების არჩევნებს და არჩევნების დასრულების შემდეგ ჩაიბარებს არჩევნების ანგარიშს და გადასცემს მას დამფუძნებელ კრებას. არ ვიცით, რა უწოდოთ ასეთ დანაშაულს: ხალხის ნების თავისუფლათ გამოხატვას ჩასცეს ლახვარი. კომისიის წევრთა დატუსაღებით მოძალადეებმა ომი გამოუცხადეს მთელ ხალხს. კავკასიის ფრონტის საარჩევნო კომისია მოუწოდებს ყველა მოქალაქეს, მთელ ჯარს, მთელ რუსეთს განაცხადონ სასტიკი პროტესტი აშკარა ძალადობის წინააღმდეგ და მოითხოვონ კომისიის ყველა დატუსაღებულ წევრების განთავისუფლებას, რომელთა შორის არის კავკასიის ფრონტის წარმომადგენელიც.

◆ **„ნაკადული“.** რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“ (მცირე წლოვანთათვის) № 13, 14.

◆ **სამგლოვიარო წერილი** მიიღეთ ქ. დოლიძისაგან დაიმედ მღ. [illegible] გარდაცვალების გამო.

კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს 7 საათზე, საგუბერნიო-სამეურნეო ინსპექციის კანცელარიაში (თათრის მოედანი) დანიშნულია მორიგი კრება მე 6 რაიონის კოლექტივის წევრებისა.

— დღეს, საღამოს 8 ს., ბიუროს ბინაზე (პეტრე დიდის ქუჩა, № 18) დანიშნულია ბეჭდვითი საქმის მუშათა კავშირის რიგით მე 9 [illegible] საბჭოს სხდომა. დღის წესრიგი: 1) მ. და ჯ. დეპ. საბჭოს წევრთა ხელახალი არჩევნები; 2) ბეჭდვითი საქმის მუშათა კონფერენცია; 3) ტარიფი და 4) ჟურნალი.

პროვინციის ქრონიკა

ფოთი. 1 ნოემბრიდან განახლდა მუშაობა ფოთის ქალთა საზოგადოებაში, რომელმაც უკვე მოაწყო საღამოს კურსები მუშებისათვის და მცირე წლოვანთათვის. ფოთის ქალთა საზოგადოების გამგეობა მიმართავს ნოქართა კავშირს მოწოდებით, რათა შესაფერი ზომები მიიღონ და ხუთი საათიდან განთავისუფლებულ იქნენ უწლოვანი ნოქრები და დაავალოს მათ, ნოქრებს, გამოცხადდნენ ქალთა საზ—ბის უფასო საღამოს კურსებზე.

— 5 ნოემბერს უნდა არჩეულიყო წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების გამგეობა. 202 ძველ წევრებიდან გამოცხადდა მხოლოდ 16 კაცი, ხოლო გამგეობის წევრებიდან—მხოლოდ 3 კაცი. ახალი წევრები ჩაეწერნენ 60 კაცამდე. ვინაიდან ამ პირობებში ძველი გამგეობის ანგარიშების დამტკიცება და ახალი გამგეობის არჩევნები შეუძლებელი იყო (მით უმეტეს რომ კრება ერთფეროვანი აღმოჩნდა, ყველა სოც.-დემ.) ამიტომ კრებამ საჭიროდ დაინახა კრების გადადება 16 ნოემბრისათვის. მიუხედავათ იმისა, რომ გამგეობის არჩევნების შესახებ ფოთის საზ—ბამ რამდენიმე დღით წინათ იცოდა. ჩვენი „საქმიანი“ ინტელიგენცია აღარსად სჩანს!

— ამ უკანასკნელ დროს ფოთში გახშირდა კერძო ოჯახებში საღამოების გამართვა. ასეთ „საღამოებზე“ ხალხი დროის ატარებს კარტის თამაშში და ღვინის სმაში. 11 ნოემბერს ვიღაც მეტარიას თავის სახლში გაუმართავს საღამო. ღამის 5 საათზე ზ. გ—შვილმა მთვრალმა, გაისროლა რევოლვერი და ხელში დაიჭრა ერთი კაცი.

— გამოვიდა ჯერ-ჯერობით საარჩევნო გაზეთ „წინ“-ის 3 ნომერი, მე 4 ნომერში მოთავსებული იქნება არჩევნების შედეგები ფოთში. შემოვიდა რ. ს.-დ. მ. პ. კომიტეტში საარჩევნო ფონდისათვის 2455 მან. და 30 კაპ. აქედან 600 მან. გადაეგზავნა საოლქო კომიტეტს საარჩევნო ფონდისათვის.

— **ყვირილა.** უმაღლეს პირველ დაწყებითი სკოლაში თავისუფალია მასწავლებლის ერთი ადგილი. არჩევნები მოხდება ახლო მომავალში. წერილობითი განცხადება შეიძლება გაეგზავნოს ყვირილაში უმაღლესი პირველ დაწყებითი სკ. ინსპექტორის სახელზე.

ძ. ახალ სენაკი. 14 ნოემბერს საღამოს აქ [illegible] გაძარცვეს სენაკის სასულიერო მეხუთე კლასის მოწაფენი ალექსანდრე კვარაცხელია და თომა ფურცხილაძე; პირველს 69 მანეთი მოსტაცეს, მეორეს კი 8 მან.

დამფუძნებელი კრების არჩევნები

სურამი. მენშევიკებმა მიიღეს 1305 ხმა; კადეტებმა—7; ესერებმა—58; დაშნაკცაკანებმა—369; ბოლშევიკებმა—39; ს. ფედერალისტებმა—11; ნაც. დემ.—92; მუსულ. ნაც. პარტია—1.

ს. ორმეთი (გურია). 12 ნოემბერი ეს არა ჩვეულებრივი დღე იყო არა მარტო გურიაში, არამედ მთელ რუსეთში. ბორკილებიდან განთავისუფლებულ ხალხს ამ დღეს პირველად უფლება ეძლეოდა თვით უშუალოთ მისულიყო საარჩევნო ყუთთან და ხმა მიეცა მათი ინტერესების დამცველისათვის.

გაბრწყინებული სახით მიდიოდნენ ხმის მისაცემათ, ყველას სახეზე ეტყობოდა, ყველა რაღაცას გრძნობდა. [illegible] ხელში პირველად [illegible] სხვა პარტიის წარმომადგენლები ხედავდნენ გზაში და პირდებოდნენ გაკეთებას, რომ მათი ნომრისათვის მიეცა. მაგრამ მათ ყურადღებას არ აქცევდნენ. დილიდანვე ხალხი მოაწყდა პირველ დღეს საარჩევნო ყუთს წითელი დროშებით ხელში და მარსელიოზის გუგუნით. არჩევნები ცოცხლათ ჩატარდა. მონაწილეობა მიიღო არჩევნებში 2561, აქედან მენშევიკებმა მიიღეს 2380 ხმა, ბოლშევიკებმა 172, ფედერალისტებმა 7 და ეროვ.-დემ. 2 ხმა.

მაქსიმ გორკი და „ფლოტის მექანიკოსი“

მაქსიმ გორკიმ თავის გაზეთ „ნოვაია ჟიზნ“-ში სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა „ბოლშევიკების მთავრობას“. ამით, სხვა ვიღაცისთვის მოახერხეს ბოლშევიკებმა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ველზე გამოუშვეს ვიღაც „ფლოტის მექანიკოსი“, რომელმაც შემდეგი წერილი მოათავსა „პრავდა“-ში გორკის წინააღმდეგ:

„შემდეგში, მაქსიმ გორკი და საზოგადოთ „ხალხის მეგობრებო“! რომ დროზე აიხადეთ ნიღაბი. ხალხი თქვენ დაგაფასებთ. თქვენ, მაქსიმ გორკი, ხალხის ტკივილებს არ გრძნობდით, თქვენ რაღაც სხვა გაწუხებდათ, გული ეს ჩვენ გვეგონა“.

ამაზე გორკიმ უპასუხა:

„მე მისაყვედრებენ, რომ „ოცდახუთი წლის დემოკრატიის სამსახურის“ შემდეგ მე „ნიღაბი ავიხადე“ და ხალხს ვუღალატე.

ბატონ ბოლშევიკებს სრული უფლება აქვთ აღნიშნონ ჩემი ყოფა-ქცევა ისე, როგორც ეს მათ ესიამოვნებათ, მაგრამ ამ ჯენტლმენებს უნდა მოვაგონო, რომ რუსის ხალხის ხასიათის ღირსებები თავის დღეში მე არ მაბრმავებდნენ მე მუხლს არ ვიდრეკდი დემოკრატიის წინაშე და ის ჩემთვის ისეთი რაღაც წმინდათა წმინდა არ არის, რომ მას წინააღმდეგ კრიტიკა არ შეიძლებოდეს.

1911 წელს მე ვწერდი: „სასარგებლოა უნდა გამოვიცნოთ. უკეთუ ჩვენი გლეხი [illegible], ეს უნდა ითქვას; უკეთუ მუშა იძახის—„მე პროლეტარი ვარ“ ისეთი საზიზღარი კილოთი, როგორც აზნაური ამბობს: „მე აზნაური ვარ“, ამ მუშას უნდა დავუკვირდეთ. ხოლო, როცა მუშათა ერთი ნაწილი უწესოებას და ძალადობას ახდენს, მე აშკარათ ვაცხადებ, რომ მე მათთან არ შემიძლია ვიყო“.

ქალაქის საქმეები

შრომის კომისიაში.

თფილისის ქალაქის საბჭოს მიერ არჩეული შრომის კომისია ამ უკანასკნელ დღეებში შეუდგა მუშათა რაიონებში სასადილოების მოწყობის საქმეს. რესტორანებში ფასები თანდათან მატულობს. ფულიც რომ ჰქონდეს, ხშირათ მუშა სურსათსაც ვერ შოულობს. ქალაქს კი შედარებით ადვილათ შეუძლია იშოვოს სურსათი. სასადილოების გახსნას ამ ქალაქში ის გარემოებაც აადვილებს, რომ დახურული სავადმყოფოებიდან შეიძლება ხელსაყრელ ფასებში ინვენტარის შეძენა. გარდა ამისა, სავადმყოფოების დახურვის გამო განთავისუფლდნენ საქმის მცოდნე პირები. შრომის კომისიამ სხვადასხვა რაიონების პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენლებთან ერთად შეიმუშავა ხარჯთაღრიცხვა. პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენლებმა თავის თავზე აიღეს საჭირო შენობის გამოძებნა. პირველი სასადილო განზრახულია გაიხსნას შრომის ბირჟის ახლოს სილიანის ბაზარში შემდეგ სასადილო გაიხსნება ვაგზლის რაიონში, რიყეზე, ჩუღურეთში, ნავთლუღში და ავლაბარში. პირველი შენობა უკვე ნაშოვნია. სასადილოების დროზე გახსნას ხელს უშლის ქალაქის თვითმმართველობის კასაში ფულის სიმცირე.

განზრახულია შრომის კომისართან მოეწყოს უფასო იურიდიული დახმარება.

საადგილ-მამულო კომისიაში.

21 ნოემბერს მოხდა საადგილ-მამულო კომისიის წევრთა კრება. მუშათა კლასისათვის მეტად საინტერესოა ამ კომისიის მუშაობის გეგმა.

პირველი საკითხი—ეს აგრარული რეფორმების გამო ქალაქის მიწებით სარგებლობის საქმის მოწესრიგებაა. ქალაქს დიდძალი მიწები აქვს, მათში არის კერძო საკუთრებაც, როგორ უნდა გამოიყენოს ისინი ქალაქმა დღეს, მიწის შესახებ ახალი კანონის შემუშავების დროს—ეს საკითხი, რომლის გადაჭრას მიზნათ ისახავს საადგილ-მამულო კომისია. დღევანდელ კრიზისის გამო შესაძლებელია კომისიამ ეს მიწები გამოიყენოს ბოსტნების მოსაწყობათ, რასაც იგი ახლო მომავალში შეუდგება კიდეც. მოსმენილ იქნა მიწის-მზომელ ელიოზოვის მოხსენება მუშათა უბნების გაშენების შესახებ. პრინციპიალურათ კომისიის ყველა წევრმა აღიარა ქალაქის მცხოვრებთა გადაჯგუფება: მცხოვრებნი მეტად მჭიდროთ ბინადრობენ და ცდილობენ ქალაქიდან გასვლას. გაჩნდება იმავე მოვლენებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1905 წ. იტაცებენ ქალაქის მიწებს, უნებართვოთ აშენებენ ქოხებს. ამ გარემოების გამო საჭიროთ იქნა აღიარებული ქალაქის საბჭომ გაუწიოს ანგარიში მცხოვრებთა ასეთ ლტოლვილებს და ქალაქის მიწების რომელიმე ნაწილი დაეყოს ახალი უბნის

განაშენებლათ, სადაც შემდეგში, როცა შესაძლებელი იქნება, გაიყვანებენ ტრამვაის, წყალსადენს და სხ. ამ ჟამათ კი უნდა გამოინახოს ასეთი ნაჭერი მიწა და მიეცეს დასახლების მსურველთ იჯარით, რომ ამით დაკმაყოფილებულ იქნას მუშათა მოთხოვნილება. ელიოზოვს მიენდო ქალაქის საბჭოს კომიტეტთან ერთად გამოძებნოს შესაფერი ნაჭერი ქალაქის მიწებისა.

სახალხო სამუშაოთა კომისიაში.

ქალაქის საბჭოს შრომის კომისიამ წინადადება მისცა საბჭოს მოსალოდნელ დემობილიზაციისა და უმუშევრობის გამო მოეწყოს სახალხო სამუშაოთა კომისია. 20 ნოემბრის სხდომაზე საბ. წინადადება მისცა შრომის, საბიუჯეტო-საფინანსო და სადემობილიზაციო კომისიებს გადაეჭრათ ეს საკითხი. ამ უკანასკნელ კომისიათა სხდომას დაესწრნენ სამხედრო სამრეწველო კომიტეტისა და საქარხნო ინსპექციის წარმომადგენლები. სხდომაზე გაკეთებულ მოხსენებიდან გამოირკვა, რომ დემობილიზაციით გამოწვეულ უმუშევართა რიცხვი ავა 10 მილიონამდე, რომელთაგან 5 მილიონი წავა ქარხნებში. დემოკრატიულ საბჭოებმა ამ თავითვე უნდა გამოარკვიონ რა სამუშაოს შესრულებას აპირებენ ისინი, რამდენი მუშა დასჭირდებათ მათ, რამდენი იქნება ხარჯი საჭირო, ვინაიდან ყველა ამ კითხვებს ახლო დამოკიდებულება აქვთ ბევრ ორგანიზაციებთან. გადაწყდა სახალხო სამუშაოთა კომისიის შემადგენლობა შედგეს შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენლებით: ქალაქის საბჭოს ტექნიკურ, სადემობილიზაციო და ბინის კომისიების და საბჭოს შესაფერ განყოფილებების, ერობათა და ქალაქთა კავშირის, ამიერ კავკასიის რკინის გზათა მოსამსახურეების კავშირის, საოლქო შრომის ბირჟის გამგეობის და შრომის კომისარიატის. ამ სხდომაზევე არჩეულ იქნა 5 კაცისაგან შემდგარი მცირე კომისია, რომელსაც დაევალა მასალების დამზადება ფართო კომისიისათვის.

მცირე კომისიამ განიხილა ავჭალის წყალსადენი და მესამე მაგისტრალის გამოსაყვანათ საჭირო მუშაობის პროექტი. ამ მუშაობას დასჭირდება რამდენიმე ათასი მუშა. განხილულ იქნა აგრეთვე მიწის-მზომელ ელიოზოვის პროექტი მუშათა ახალი უბნების მოწყობის შესახებ. ვინაიდან მოხსენებლებმა ვერ წარმოადგინეს საანგარიშო სხდომაზე სწორი ცნობები, მათ დაევალა შემდეგ სხდომაზე წარმოადგინონ ეს ცნობები.

სახალხო სამუშაოთა კომისიაში შემოვიდა განცხადება მკერვალ ქალთა კავშირისაგან, რომ 4 ათასი წევრისაგან 2500 უმუშევარია. მკერვალ ქალთა კავშირმა პროფესიონალურ კავშირთა პრეზიდიუმთან ერთად მიუთითა სახალხო სამუშაოთა კომისიას, რომ შესაძლებელია საინტენდანტოდან ჯარისკაცთა ტანისამოსის შეკეთების იჯარით აღება. კომისია უკვე იღებს ამ მხრით ზომებს. თუ შესაძლებელი გახდა ამ მუშაობის მოწყობა, მაშინ ყველა უმუშევარი მკერვალი ქალი და კაცი რამდენიმე ხნით უზრუნველყოფილი იქნებიან სამუშაოთი.

ქალაქის საბჭოში

(27 ნოემბრის სხდომა).

თავმჯდომარეთ ერთხმათ ირჩევენ ამხ. ალ. ლომთათიძეს. (საბჭოს თავმჯდომარე და მისი ამხანაგი არ არიან). კრება ისმენს და ამტკიცებს წინა სხდომის ანგარიშს. ამის შემდეგ თავმჯდომარე აქვეყნებს მთელ რიგ განცხადებებს. თფილისის მთავარი სადგურის საფოსტო კანტორა აცნობებს ქალაქის საბჭოს, რომ ეს დაწესებულება ელექტრონის უქონლობის გამო ბნელში იმყოფება, რაც მეტად აფერხებს ფოსტაზე წერილების გზავნის საქმეს. გამგეობის წევრი მესხიშვილი აცხადებს, ამის გამო, რომ ყოველივე ზომები მიღებულია, რომ განათება დაყენებულ იქნას სათანადო ნიადაგზე, რაც ამ დღეებში მოგვარდება. აზრთა გაცვლა-გამოცვლას იწვევს ქალაქში არსებულ რუსულ ჯალდოსნების მოვალეთა კავშირის განცხადება, რითაც აცნობებენ ქალ. საბჭოს, რომ აღნიშნულ მცხოვრებთა ინტერესების დასაცველათ არსდება ხსენებული კავშირი. ხმოსანი პაპავა არ სცნობს საჭიროთ ასეთი კავშირის დაარსებას, ვინაიდან თფილისის ყველა მცხოვრებთა ინტერესების დასაცველათ უკვე არსებობს ქალაქის საბჭო, სადაც ყველა ეროვნების წარმომადგენელი ხმოსნები სხედან. იგი ეწინააღმდეგება საბჭოს, ნუ დაამტკიცებს ამ კავშირს, რადგანაც უკანასკნელის განცხადება ამ შემთხვევაში პოლიტიკური აქტია და იწვევს ბიდებს: საბჭოს ნაცვლათ იგი ბნელ საქმეებისთვის გამოიყენება. სხ. ქალ. თავი ნ. ელიავა მიუთითებს საბჭოს კავშირების თავისუფლებაზე და შენიშნავს, რომ თუ ხსენებული კავშირი ბნელ მიზნებით არსდება, საბჭოს ყოველთვის შეეძლება მას შესაფერად მოექცეს. პაპავა ითხოვს, მისი შენიშვნა ოქმში იქნეს შეტანილი.

ამის შემდეგ ქალაქის თავი აცნობს საბჭოს, რომ რადგანაც დღე დღე ჩრდილო კავკასიასთან დამოკიდებულება, უკანასკნელ ცნობის მიხედვით, კიდევ უფრო მწვავდება, აუცილებელი ხდება პურის რაციონის კიდევ შემცირება; მოქალაქენი რაციონით ნაწილს პურის მიიღებენ და ნაწილს სუხარს. გამგეობას საჭიროთ მიაჩნია გამოიცეს მოწოდებები, რომ მოქალაქენი ამ ცვლილებას დამშვიდებით შეხვდნენ. საბჭო იღებს ამ განცხადებას და სურვილს გამოსთქვამს, ყოველგვარი ზომები იქნეს მიღებული მდგომარეობის მალე გამოსასწორებლათ (ზღვით სარგებლობა, საბარგო ავტომობილების გამოყენება საქართველოს სამხედრო გზით, მოქალაქეთათვის უფლების მიცემა—საკუთარი ეკონომიიდან ფქვილის შემოსატანათ საკუთარი საჭიროებისათვის და სხვა).

თფილისში შექმნილ მდგომარეობის შესახებ ნ. ელიავა აცხადებს შემდეგს: დღეს თფილისში მეტად გამოურკვეველი მდგომარეობაა; მოქალაქენი ნერვებ დაშლილი ელოდებიან ყოველ დღეებს, თვითეულ საათებს, ხმა დადის ბოლშევიკების გამოსვლაზე. ქალაქ თფილისის აღმასრულებელმა კომიტეტმა, რომელსაც აბარია რევოლიუციონური წესრიგის დაცვა, გაარჩია ეს შესაძლებლობა და წინასწარ განსაზღვრა მასთან თავისი დამოკიდებულება. ქალაქის საბჭომაც უნდა გაუწიოს ასეთ მდგომარეობას ანგარიში, გაარკვიოს თავისი პოზიცია. მე ვფიქრობ, რომ ჩვენც ისეთ გზას უნდა დავადგეთ, როგორსაც აღმასრულებელი კომიტეტი დაადგა და გავიმეოროთ ნოე ჟორდანიას სიტყვები: ძალდატანებას, ქალაქს არ მოვყვებით! (ტაში, ბოლშევიკები არ არიან).

საბჭო იღებს ნ. ელიავას წინადადებას და ნებას აძლევს გამგეობას, გაიღოს საჭირო ხარჯები, რასაც რევოლიუციური წესრიგის დასაცველათ შემთხვევითი საჭიროებები გამოიწვევს.

გამგეობის წევრი მ. ნ. სმირნოვი აკეთებს ვრცელ და შინაარსიან მოხსენებას გამგეობის ფინანსიური მოქმედების გეგმის შესახებ. მოხსენების მთავარი თეზისები შემდეგშია გამოხატული: 1. დღევანდელ რთულ პირობებში გარკვეულ და მტკიცე ფინანსიურ გეგმის შედგენა შეუძლებელია; ახლანდელი ფინანსები საგნებით დამოკიდებულია შემთხვევებზე; 2. იზრდება დეფიციტები და დავალიანება; 3. თფილისის ფინანსიური მდგომარეობა ისეთივეა, როგორიც რუსეთის სხვა დიდი ქალაქების მდგომარეობა; 4. ფინანსიურ არევ-დარევასთან ბრძოლა შეიძლება სამი გზით: ხარჯების შემცირებით, შემოსავლის გადიდებით და სესხით; 5. თფ. ქ. თვითმართველობამ უკვე შეამცირა რამდენადაც შესაძლებელი იყო, ხარჯები; 6. შემოსავლის გადიდება შეიძლება 13 ოქტ. 1917 წლის კანონის ძალით, რომელიც დემოკრატიულის თვითმართველობისათვის არ არის დამაკმაყოფილებელი, მაგრამ რომელსაც, უკეთესის უქონლობის გამო, მაინც უნდა მივმართოთ და ქალაქს აღნიშნულ კანონის გამოყენებით შეეძლება დეფიციტის ნახევარი ნაწილის დაფარვა. მომხსენებელი აძლევს საინტერესო ცნობებს სხვადასხვა ქალაქების და კერძოთ თფილისის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ. მაგ., ქ. მოსკოვის გასავალი უკანასკნელ წლებში 2.469.000 მანეთიდან 17 000 000 მანეთამდის გაიზარდა; პეტროგრადის ცენტრ. საბჭოს ხარჯთ-აღრიცხვა 1917 წელში 104 პროცენტით გაიზარდა, რაიონულ საბჭოების—169 პროცენტით. საანგარიშო 1917 წ. ქ. თფილისის ბიუჯეტი 12 მილიონიდან 16 მილ. მანეთამდე ავიდა. ქ. პეტროგრადის დეფიციტი ივლისში 25 მილ. მანეთს უდრიდა, ეხლა კი—36 მილიონს. ქ. თფილისის საერთო დეფიციტი 9 მილ. მან. უდრის; აქედან 5 მილ. სესხით იფარება; წმინდა დეფიციტი—4 მილ. მან. თვითეულ მცხოვრებზე პეტროგრადში დეფიციტი მოდის 11 მანეთი, ნიჟნი ნოვგოროდში—7 მან., თფილისში—10 მ. ვალი თვითეულ მცხოვრ. პეტროგრადში მოდის 64 მან., თფილისში—20 მ.

მომხსენებლის აზრით დღეს ფინანსების გაუმჯობესება მხოლოდ სესხით თუ შეიძლება, ვინაიდან ყველა უბედურებებში ნაკლებ უბედურებათ დავალიანება უნდა ჩაითვალოს.

საბჭო ამტკიცებს მოხსენებას და გამოსთქვამს სურვილს წარმოდგენილი ფრიად საყურადღებო მოხსენება დაბეჭდილ იქნას.

შემდეგ საბჭო ისმენს გამგეობის მოხსენებას და ამტკიცებს: დაწესებულ იქნას განსაკუთრებული გადასახადი გასართობებზე (თეატრები, პროექტორები და სხვ.).

ბოლოს კრება ირჩევს ორი პირისაგან შემდგარ კომისიას იმ ბინების შესათვალიერებლათ, რომლებსაც რეკვიზიცია უყენებს სამხედრო მოსამსახურეთათვის. კომისიაში შედიან: გარიბოვი და მილნიკოვი.

30 ნოემბერს მოწვეულ ქალაქთა სიეზდზე დასასწრებლათ საბჭო ირჩევს შემდეგ პირებს: ი. ი. ჟორჟანიას, გეპშტეინს, მ. რუსიას, ჩემოდანოვს, ავჭიევს და იაკჯიანს.

მ. ჩიხუა.

ეროვნული ყრილობის რეზოლუციები

7.

ერობა.

საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობის საერობო სექციამ განიხილა საქართველოში ერობის შემოღების საკითხი და მიიღო რა მხედველობაში:

1) რომ ერობა ერთი უძლიერესი და აუცილებელი საჭიროებათაგანია ჩვენი ცხოვრებისა.

2) რომ ამ საჭიროებამ თავი იჩინა განსაკუთრებით აწინდელ ომის დროს, რომელმაც გამოიწვია რუსეთში და ჩვენშიც ნორმალურ ეკონომიურ ცხოვრების რადიკალური დარღვევა და სხვათა შორის უკიდურესი სასურსათო კრიზისი.

3) რომ ერობის შემოუღებლობამ დიდათ აფერხებს ჩვენი ქვეყნის წინსვლასა და განვითარებას, საჭიროდ სცნო:

1. დაუყონებლივ შემოღებულ იქმნას საქართველოში სამ საფეხურიანი ერობა:

ა, მცირე სათემო ტერიტორიალი ერთეული, ადგილობრივი პირობების მიხედვით.

ბ, სამაზრო და

გ, საგუბერნიო, ანუ საოლქო.

2. ერობა აგებული უნდა იქნეს საყოველთაო (განურჩევლათ სქესისა), პირდაპირ, თანასწორ, ფარულ და პროპორციონალურ საარჩევნო უფლებაზე.

3. ერობას უნდა მიენიჭოს არა მარტო სამეურნეო ფუნქციები, არამედ სახელმწიფო მართველობის უფლებებიც ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად,—კერძოდ თვით-დაბეგვრისა და სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის უფლება.

4. საერობო დაწესებულებათა დადგენილებების განსაჩივრება ფორმალური კანონიერების მხრივ შეუძლიათ სასამართლოში ყოველს მოქალაქეს და იურიდიულ პიროვნებას. უმაღლესი მეთვალყურეობა ფორმალური კანონიერების ფარგლებში მიეკუთვნება მთავრობის ადგილობრივ კომისარს, რომელიც განასაჩივრებს სასამართლოში.

5. ერობის დაუყონებლივ შემოღებაზე ზრუნვა და მისი განხორციელება, ზემო აღნიშნულ პირობათა დაცვით, მიენდოს საქართველოს ეროვნულ საბჭოს.

6. დაუყონებლივ მიღებულ იქმნას ზომები რათა თბილისის გუბერნიის 7 უდავო მაზრაში დაუყონებლივ შემოღებულ იქმნას ერობა და სადავო მაზრების გამო არ შეჩერდეს არც საგუბერნიო საერობო დაწესებულებათა შემოღება თბილისის გუბერნიაში, არც სამაზრო დაწესებულებათა ახალქალაქის მაზრაში.

8.

ფინანსები.

ფინანსიური პოლიტიკა ყოველი არსებისა, სახელმწიფო იყოს ის, გინდ ავტონომია, თუ ქალაქი ან კერძო პირი [illegible] მარტო ხარჯი ან [illegible] მისი ზოგადი შინაური და გარეშე პოლიტიკისა.

ამ მიზნით თქვენმა ფინანსიურმა სექციამ, რომელშიაც თავი მოიყარა საქართველოს ენერგიის და მწარმოებელი ძალის ყველა დარგის წარმომადგენლებმა, გაითვალისწინა სხვა და სხვა ფაზისი ამ პოლიტიკისა, რომელიც ბუნებრივად გამომდინარეობს თანამედროვე ომისა და რევოლიუციის სვლიდან.

სანამ არსებობს ჩვენი ქვეყნის ერთობა და მისვლა-მოსვლა რუსეთთან უნდა ვაწარმოოთ ერთი ფინანსიური პოლიტიკა. და სულ სხვა გვარი გეგმა და ზომები გვიდგება წინ, როცა ეს კავშირი თავის თავად სწყდება. აგრეთვე მოქმედებს დღევანდელი დროებითი ამიერკავკასიის მართველობა, ჩვენ ქვეყანას და ჩვენს საბჭოს ბევრად ნაკლები ფინანსიური საშუალება სჭირია, ვინემ მაშინ, როდესაც დემოკრატიამ ნუ ქნას—ეს მართველობა დაუძლურდება. რაც მეტი თვით მართვა აწევს მხარეს, მით უფრო ფინანსიური შემოქმედებას ავალებს მას აუცილებელი საჭიროება.

სწორედ ეს მდგომარეობა გაითვალისწინა თქვენმა ფინანსიურმა სექციამ სამი დღის ყოველ მხრივი გამოკვლევით. ბევრნაირი ვარიანტი მოიგონა, რომ მისი ნორმალურ პირობებში საქართველოს შემოსავალი და ფინანსიური ძალა მის ხარჯს და პოლიტიკურ საჭიროებებს დაჰფარავს, გარდა იმ უსაზღვრო ექსტრა-ორდინალურ საჭიროებების, რომელთაც თავზე გვატეხს ომი და მისი შედეგი მარტოყოფა, შედეგი ჩვენი მამულის პოლიტიკური ცენტრის აღორძინება. ყველაზე უბედნიერესი დასკვნა ჩვენი სექციის გამოკვლევისა ის გახლავთ, რომ მისი აზრით ეს აღორძინება შესაძლოა ყველა ჩვენი პარტიის და დარგის არსებითი პრინციპების და ინტერესების შეულახველათ. საქართველოს ფინანსიური წარმატება დააგვირგვინებს და გააძლიერებს მის პოლიტიკური პარტიების შეთანხმებას და ამხანაგურ მოქმედებას.

რასაც უნდა გვიქადდეს მომავალი ფინანსიური შესაძლებლობა საქართველოსი მხარს გაუმაგრებს მის პოლიტიკურ მდგომარეობას.

ამ ხანუგეშო დასკვნას დაადასტურებს და გაუზიარებს იმ საერობო საბჭოს, რომელსაც თქვენ აარსებთ და რომელიც დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს ჩვენი ქვეყნის სიმდიდრის სადათას ძალისაგან აღდგენას, მისი შემოქმედების გაძლიერების იმავე გზით, როგორიცაა გაძლიერდა ევროპა, იაპონია და ამერიკა.

ამ საბჭოს მოქმედება და გავლენა ამიერ კავკასიის მართველობაზე და ჩვენი მამულის მომავალზე მით უფრო ძლიერი იქნება, რაც მეტ ფინანსიურ საშუალებას აღმოუჩენს მას ქართველობა. მას ჯერ რასაკვირველია არ ეძლევა უფლება პირდაპირ შეეხოს ჩვენი ქვეყნის ხაზინას და სიმდიდრეს, მაგრამ იმ ფონდების შექმნაც, იმ გზების კვლევაც, იმ ენერგიის კრება, რომელნიც საჭირო არიან ჩვენი არსებობის დასაცავად და თვითარსებობისა შესაძენად, თქვენს საბჭოს დიდძალ თანხას მოსთხოვს, საფინანსო სექცია ამ მიზნით ერთხმად გთხოვთ გააძლიეროთ ქართველი ერის პოლიტიკური წარმომადგენლობა, აღჭურვოთ მომავალ საერო საბჭო უფლებით—ჰკრიბოს ნებაყოფლობითი გადასახადი და ბოლოს სესხი საქართველოს საქმის დასაცავად.

9.

სასწრაფო საკითხი.

1. საქართველოს ეროვნული ყრილობა ითვალისწინებს თანამედროვე მდგომარეობას და ჯარის დემობილიზაციას, რაც გამოიწვევს ჩრდილოეთიდან რკინის გზითა და ზღვით სურსათის გამოტანის შეჩერებას—ავალებს ეროვნულ საბჭოს—მოაწყოს განსაკუთრებული სასურსათო სექცია, რომელიც მჭიდრო კავშირს დაიჭერს როგორც ამიერ კავკასიის მთავრობასთან და საოლქო სასურსათო კომიტეტთან, აგრეთვე ჩრდილო კავკასიის მთავრობასთან, დაამზადებს საჭირო სურსათს და მოაწყობს მის გამოზიდვას სამხედრო გზებით.

2. ყრილობა ავალებს ეროვნულ საბჭოს დაუყოვნებლივ მოაწესრიგოს სურსათის დანაწილება მთელ საქართველოში, რისთვისაც უნდა გამოიცეს განსაკუთრებული მოწოდება საბჭოს სახელით—მეურნეთა მიერ, რათა ზედმეტი პურეული გადასცენ სასურსათო ორგანიზაციებს მტკიცე ფასებში.

3. ყრილობა სასურველად სცნობს პურეულის მონოპოლიის შემოღებას, როგორც საქართველოში, ისე ამიერ კავკასიაში.

4. ყრილობა საჭიროდ სცნობს, სურსათის საქმე ისეთ ორგანიზაციების ხელში იყოს, რომელნიც ერთის მხრით მთელი დემოკრატიის ნდობით იქნებიან აღჭურვილნი და მეორეს მხრით საჭირო უფლებებით აღჭურვილნი, ასეთები კი არიან ადგილობრივი თვითმართველობანი. ეს საქმე უნდა მიეწყოს და დაუყოვნებლივ შემოღებულ იქნას ერობა.

5. სანამ ერობა იქნებოდეს შემოღებული, მანამდის რჩება ძველებური მხოლოდ საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი და დანარჩენი სამაზრო და სარაიონო უჯრედები.

6. რადგან ჩვენში მრავლად არსებობენ კოოპერატიული ორგანიზაციები, ყრილობა აუცილებლად საჭიროდ და საქმისთვის სასარგებლოდ სცნობს, რომ ადგილობრივი თვითმართველობანი თავის მოქმედებაში ეყრდნობოდნენ კოოპერატივებს და მათ კავშირებს.

ხალხის ჯანმრთელობის სექციამ თავის სხდომებზე, რომლებზედაც ყრილობის დელეგატთა გარდა მონაწილეობას ღებულობდნენ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების წევრნიც, შეიმუშავა შემდეგი:

10.

ხალხის ჯანმრთელობა.

1. ხალხის ჯანმრთელობა უნდა შეადგენდეს მთელი საქართველოს თვითმართველობის ერთ-ერთ უპირველეს საზრუნავ საგანს.

2. ხალხის ჯანმრთელობის დაცვა უნდა ხორციელდებოდეს ერობათა, ქალაქის თვითმართველობათა, საქარხნო სამრეწველო და სამხედრო უწყებათა და აგრეთვე სხვა საზოგადო დაწესებულებათა შემწეობით.

3. ხალხის ჯანმრთელობის საზრუნველად საქართველოს მთავარ მართველობაში უნდა დაარსდეს საკუთარი სამკურნალო—სასანიტარო ორგანო.

ა. ეს ორგანო შეიმუშავებს ყოველ კანონმდებლობას, რომლებშიაც შეეხება ხალხის ჯანმრთელობის დაცვას.

ბ. და აგრეთვე თვალ-ყურს ადევნებს, რათა ყველა უწყებათა დაწესებულებებში დაცულ იქნეს სამკურნალო და სასანიტარო კანონმდებლობა.

4. საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის დახურვის შემდეგ საჭიროა გაგრძელდეს სათანადო მუშაობა ხალხის ჯანმრთელობის შესახებ.

5. ამისათვის საჭიროა საქართველოს დროებითმა ეროვნულმა საბჭომ ჩამოაყალიბოს განსაკუთრებული ორგანო.

ა. ამ ორგანოს უნდა დაევალოს, რომ მან შეაგროვოს და დაამუშაოს მასალები საქართველოს მომავალი დამფუძნებელი კრებისათვის.

ბ. და აგრეთვე მოიწვიოს ამ მოკლე მომავალში შეთანხმებით ექიმთა და ბუნების-მეტყველთა საზოგადოებასთან სამკურნალო-სასანიტარო ყრილობა, რომელიც შეიმუშავებს ხალხის ჯანმრთელობის მოწყობის და გაძლიერების საკითხებს საქართველოს თვითმართველობისათვის.

11.

ხელოვნება.

საქართველოს გაერთიანებისა და გათვითცნობიერებას დიდი სამსახური გაუწია ხელოვნებამ.

თავისუფალ საქართველოში ამ დარგს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს და ამ ხელოვნების სასურველ ნიადაგზე დასაყენებლად ახლავე უნდა ჩაიყაროს საძირკველი.

ამიტომ ჩვენ, ქართულ ხელოვნების მსახურნი და წარმომადგენელნი სასურველად ვცნობთ ეროვნულ საბჭოსთან დაარსდეს ხელოვნების სექცია.

კახეთის რკინის გზა

„უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონნენო“,—სწორედ კახეთის რკ. გზაზე ნათქვამი. ასეთი უწესოება, ასეთი ანარქია, როგორიც ამ გზაზე სუფევს, არსად არ იქნება. როგორც გზა, ისე თვით მოსამსახურენი, საშიშ მდგომარეობაში იმყოფებიან. მთელი გზა ყაჩაღებმა და დეზერტირებმა ჩაიგდეს ხელში და მათი ტერორის გავლენის ქვეშ იმყოფებიან მოსამსახურენი.

თითქმის ყოველ ღამე თავს ესხმიან ლიანდაგის დარაჯებს, აწიოკებენ და ძარცვავენ მათ.

ზოგიერთ სადგურებს სალდათების მხრით ყოველ დღე მოელის აწიოკება და განადგურება და მოსამსახურეებს კი [illegible]. მაგ., სადგურ წნორის წყალზე სალდათები თითქმის მუდამ დღე უწესოებას ახდენენ, მოტანილ საქონელს იტაცებენ საქონლის სადგურიდან და მოსამსახურეებს მუქარით ემუქრებიან; წინააღმდეგობის გაწევას ვინ ბედავს,

დეზერტირებმა და [illegible] ხომ დიდი ხანია [illegible] და თავის [illegible] მათ შეკრული ორგანიზაცია აქვთ მოწყობილი და კავშირი აქვთ აგრეთვე „სპირტოვშჩიკ“ სპეკულიანტებთან. ამ ჯენტლმენების წყალობით კახეთის სამხედრო მატარებელი გადაქცეულია სადგინე მატარებლათ. მგზავრები ნახევარზე მეტი უბილეთოდ დადიან, რადგან უბილეთობის სალდათის ფორმა აცვია და თუ ვინმემ ბილეთი მოთხოვა მათ, ფანჯრიდან გადაგდებას დაუპირებენ. ხშირია მაგალითები ისეთი: მგზავრების მიერ კონდუქტორების ცემა-ტყეპა.

მატარებლებში, ყოველ ვაგონში შეხვდებით (თუ გადით მოიხედავთ და თავპირი არ გინდ დაიმტვრიოთ) მთვრალების ჯგუფს, რომელნიც ხშირად ჩხუბსა და ალიაქოთს ასტეხენ ხოლმე და მშვიდობიან მგზავრებს მოსვენებას არ აძლევენ. ვაგონების ფანჯრებიდან რევოლვერებს ისვრიან ხოლმე და ამით როგორც მგზავრებს, აგრეთვე ახლო-მახლო სოფლებს შიშის ზარს ჰგვრიან.

სწორეთ ამიტომ სამწუხაროა ყოველ დღე ღებულობს დეპეშებს მოსამსახურეთაგან, რომელნიც იხვეწებიან: გვიშველეთ, დაგვეხმარეთ, ან იარაღი მოგვეცითო.

ამის გამო კახეთის რკ. გზის ცენტრალურმა კომიტეტმა 22 ნოემბერს თავის საგანგებო სხდომაზე მოიწვია გზის გამგეობა, გზის გამგე თუმანიშვილი და სხვა უფროსები. გამგეობიდან კრებას დაესწრნენ: დ. ე. ჩოლოყაშვილი და რ. ნ. ყაზბეგი. ამ კრების საგანს შეადგენდა წესიერების დაცვის საქმის მოწყობა კახეთის რკ. გზაზე.

გაიმართა კამათი. ყველა ორატორი საშინელ, შემაძრწუნებელ სურათს უხატავდა კრებას და აღიარებდა, რომ გზას შველა უნდა.

გზის გამგე თუმანიშვილმა მოახსენა კრებას, რომ მან ამ თვენახევრის წინათ მიმართა მუშათა და სალდ. საბჭოს, სამხედრო უფროსს, რომელიც ჯერ იყო ის გ. პ. გეგეჭკორიასაც და სთხოვა მათ დახმარებოდნენ წესიერების დაცვაში კახ. რკ. გზაზე, მაგრამ უშედეგოთ გახდა.

კრებაზე ნათლად გამოირკვა, რომ არაყისა და ღვინის გადმოზიდვამ კახეთის მატარებლით დეზერტირებისა და სპეკულიანტების მიერ ამ ბოლო დროს უმაღლეს წერტილს მიაღწია; ასე გადიდდა უბილეთო მგზავრების რიცხვიც, რაც დიდ ზარალს აყენებს კახეთის რკინის გზას.

დეზერტირებს რომ კავშირი აქვთ ხსენებულ სპეკულიანტებთან და რომ ისინი მარტო არ აწევენ ღვინითა და არაყით ვაჭრობას, ეს მტკიცდება შემდეგი ფაქტით: როგორც კრებაზე გამოირკვა, ამ უკანასკნელ დროს სადგურ ვაზიანში ავტომობილები ხვდებიან მატარებლებს; იქ აწყობენ გადმოაქვთ ღვინოები და ავტომობილებით მიაქვთ ქალაქში. ეს კი იმათ ყოფილა გამოწვეული, რომ ამას წინათ, ნავთლუღში, კახეთის მატარებელი გაჩხრიკეს და დიდძალი ღვინო აღმოაჩინეს. ეხლა ეშინიათ და ამიტომ ვაზიანში ახვედრებენ ავტომობილებს.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ კრებამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: „ვინაიდან კახეთის რკ. გზაზე უწესოებამ ფართო და არაჩვეულებრივი ხასიათი მიიღო და რომ ამ უწესოებასთან ბრძოლა საკუთარი ძალებით შეუძლებელია, ამიტომ ეთხოვოს ამიერ კავკასიის მთავრობას, რომ წესიერების დასამყარებლათ და დასაცავათ კახ. რკ. გზაზე მოეწყოს რაზმი ქართული პოლკის ჯარის კაცებისაგან. თუ, ვინიცობაა, ეს შეუძლებელი იქნება, მაშინ აუცილებლათ შესდგეს რაზმი თვით მოსამსახურეთაგან, ან კერძო პირებისაგან“.

ამ საქმის მოწყობა მიენდო გზის გამგეობას, გზის გამგეს და ცენტრ. კომიტეტის პრეზიდიუმს.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს—მთავრობა ყურადღებას მიაქცევს ამ გარემოებას და საჩქარო ზომებს მიიღებს კახეთის რკ. გზისა და მის მოსამსახურეთა საშველათ.

საქმე დაყოვნებას არ ითმენს.

ვლ. ბ—ძე.

სოც.-დემ. პარტიაში

ფოთი. 15 ნოემბ. მოხდა კომიტეტისა და ორივე კოლექტივების შეერთებული კრება. თავმჯდომარეობს ამხ. ლ. კილურაძე. ის აკეთებს მოხსენებას დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგების შესახებ ქ. ფოთში. როგორც მომხსენებლის სიტყვიდან გამოირკვა, არჩევნებისადმი გულგრილობა ხალხში ეხლა უფრო მეტია, ვიდრე წინეთ, ქალაქის არჩევნების დროს: ეს მოსალოდნელიც იყო. ჩვენმა პარტიამ მიიღო სულ უკანასკნელი 65 პროც. მთელი ხმებისა. ქალაქის არჩევნების დროს გამოცხადდა სულ 4650 კაცი; ეხლა კი გამოცხადდა 4264 კაცი. პირველად ჩვენ მივიღეთ 3029 ხმა; ეხლა კი მივიღეთ 2729 ხმა. ამ ციფრების განხილვის დროს უნდა მივიღოთ მხედველობაში შემდეგი გარემოებანი: 1) ჩვენ დავკარგეთ ჩვენი ამხანაგების—პორტში და რუსეთის საზოგადოების მოსამსახურეთა 49 ხმა, ისინი იძულებული შეიქნენ მიეცათ თავიანთი ხმები შავი ზღვის ფლოტის საარჩევნო ოლქში; 2) ჩვენ დავკარგეთ აგრეთვე დახლოვებით სამი ქუთაისელი ადგილობრივ

ებრაელების ხმები. მიზეზი მდგომარეობს შემდეგში: ადგილობრივ ებრაელებს ერთი ნაწილისა და სასურსათო კომიტეტის შორის, რომელსაც ხელმძღვანელობენ ჩვენი ამხანაგები, ჩამოვარდა უკმაყოფილება: სასურსათო კომიტეტმა ნება არ მისცა მათ თავისუფლათ ვაჭრობისა და სპეკულიაციისა; 3) ჩვენ დავკარგეთ აგრეთვე 350 ხმა იმ ქართველ ჯარისკაცებისა, რომლებმაც ჩვენ მოგვცეს ხმა ქალაქის არჩევნების დროს და რომელნიც დღეს, აქ, ფოთში, არ არიან. ამ არჩევნების დროს სხვა მოწინააღმდეგე პარტიებიდან „გამძლიერდენ" ფედერალისტები: ფედერალისტებს დაუბრუნდათ ის ხმები, რომელნიც მათ წაართვეს ნაციონალ-დემოკრატებმა და „უპარტიოებმა" ქალაქის არჩევნებში ნიკო ნიკოლაძის პიროვნების ზეგავლენით; რომელნიც უკანასკნელთა სიაში იყო შეტანილი... ამ რიგათ, ამ ორ პარტიის ძალთა განწყობილება თითქმის იგივე რჩება, როგორც იყო წინეთ. სოც.-რევოლუციონერებს მიჰყვება თითქმის მხოლოდ ჯარისკაცები, ასევე ითქმის ბოლშევიკებზედაც. კადეტებმა (ქალაქის არჩევნების დროს—„უპარტიოებმა") მიიღეს 46 ხმა, სახალხო სოციალისტებმა—1 და სიონისტებმა 19. თუ ყველა ზემოხსენებულს მივიღებთ ჩვენ მხედველობაში, ჩვენს პარტიას არამც თუ არ დაჰკლებია ხმები,—პირიქით, მომატებია 200—300 ხმა!..

შემდეგ განხილულ იქნა სხვა მიმდინარე საკითხები. ამ საარჩევნო კამპანიის დროს შემოსავალ-გასავლის ანგარიშის წარმოდგენა კომიტეტისთვის დაევალა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.—დელეგატად პარტიულ ყრილობაზე დასასწრებლად პეტროგრადში არჩეულ იქნა ამხ. ვასო ნოდია.—ნახუტრის კოოპერატივში მომხდარ უწესოების გამოსარკვევად კრებამ აირჩია სპეციალური კომისია 3 კაცისაგან. 19 ნოემბრის პირველ ქართულ ეროვნულ ყრილობაზე კრებამ წინადადება მისცა ქალაქის საბჭოს სოც.-დემ. ფრაქციას აირჩიონ დასასწრებლად ქალაქის თვითმმართველობიდან ამხანაგები დ. ოსიაშვილი და გ. ჩიტაია.—თავმჯდომარე ამბობს, რომ 19 ნოემბერს დანიშნულია წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების გამგეობის არჩევნები. არჩევნებში აქტიურათ ფართო მონაწილეობა მიიღოს მუშათა კლასმა, ვინაიდან წერა კითხვის საქმე მჭიდროთაა შეკავშირებული მუშათა კლასის ინტერესებთან. ამისათვის ის წინადადებას იძლევა შესაფერ ზომების მისაღებათ.—ერთხმათ მიღებულ იქნა ამხ. გ. ჩიტაიას წინადადება ადგილობრივად ყოველ კვირეულ პარტიულ გაზეთის გამოცემის შესახებ.—შემდეგ მიღებულ იქმა ამხ. თავმჯდომარის წინადადება, რომელიცა ეხებოდა ქალაქის გამგეობის წევრებს—შეიმუშაონ გეგმა თავიანთა მოქმედებისა და მუშაობისა, ამ მოკლე დროში და წარმოუდგინონ კომიტეტს განსახილველად.—თფილისიდან,—აცხადებს თავმჯდომარე,—მოგვივიდა საბჭოს მუშათა სექციის მოწერილობა, რომლითაც მოითხოვენ ფოთში შრომის ბირჟის დაარსებას. მიღებულ იქნა ამხ. გ. ჩიტაიას წინადადება: თფილისის შრომის ბირჟის პროექტი განსახილველად გადაეცეს ამხ. ლ. კილურაძეს, რომელიც შემდეგ მოახსენებს კომიტეტს. ამხ. დიმ. გუბელაძემ განაცხადა, ხალხში დიდ უკმაყოფილებას იწვევს შემოსავლის კვალობის გადასახადი, რომლისაც ღარიბი ხალხი უფრო მეტს იხდის ვიდრე მდიდარი. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ დაადგინა: ამის შესახებ იქონიოს მსჯელობა ფოთში არსებულ დემოკრატიულმა წრემ და შემდეგ საკითხი აღძრას ქალაქის თვითმმართველობაში; ხოლო რაც შეეხება გადასახადების მეორე ნაწილს, კრებამ აირჩია კომისია 3 კაცისაგან, რომელსაც დაევალა თავის პროექტის წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ იმოქმედონ მომავალში.—დასასრულ, ამხ. გ. ნოდიას წინადადებით გადაწყდა ორი წრის მოწყობა: ერთი იქნება ქალაქში, ხოლო მეორე—კუნძულზე. პირველი წრის ხელმძღვანელობა მიანდო ამხ. გ. ჩიტაიას, მეორისა—ამხ. ლ. კილურაძეს. წრეების დანიშნულებაა პოპულიარულ ლექციების მოწყობა მუშებისათვის პოლიტიკურ, ეკონომიურ, სამეცნიერო და ლიტერატურულ დარგებიდან. ამ წრეების ტექნიკურად მოწყობისათვის კრებამ აირჩია ორი კომისია სამსამი კაცისაგან: ერთი ქალაქისათვის, მეორე—კუნძულისათვის. პეტროგრადში პარტიულ ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატის მანდატი საოლქო კომიტეტს გადაეგზავნა.

მდივანი მ. ჩიჩია.

მუშათა შორის

ავლაბარი. 26 ნოემბერს თეატრ „ავლაბარპალასში" მოხდა საზოგადო კრება ზეთისა და საპნის ქარხნის მომუშავეთა. კრებას დაესწრო სულ ათი ქარხნის მომუშავენი, რიცხვით 520 კაცი. დღის წესრიგში ორი საკითხი იყო დასმული: 1) პროფესიონალური კავშირის შედგენა და 2) მოთხოვნილების წარდგენა „ხაზეინებისათვის".

პროფ. კავშირის შედგენის შესახებ ვრცელ მოხსენებას აკეთებს ივ. ქობალავა, შემდეგ ორატორი (ბოლშევიკი) ეხება მომხსენებლის და აღნიშნავს, რომ დღეს სოციალურ რევოლუციის წინ ყველაფერი და მუშები მარტო პროფესიონალური ინტერესებით რომ უნდა ხელმძღვანელობდენ, ისინი უნდა გაჰყვნენ ჟან პეტროგრადის და მოსკოვის პროლეტარიატს სოციალიზმისაკენ... შემდეგ ილაპარაკა კიდევ ერთმა ბოლშევიკმა, მაგრამ პირველმა მომხსენებელმა პასუხი გასცა ყველას, რის შემდეგ ბოლშევიკები სოლოვიანის მეთაურობით სტოვებენ კრებას. ასე რომ, ზემოხსენებული მუშები ბოლშევიკების აქვსზე არ წამოვიდნენ და კრებასაც საქმიანი ხასიათი მიეცა.

კრებამ დაადგინა ეხლავე არჩეულ იქნას გამგეობა და ჩვეულებრივ საქმეს შეუდგნენ. თითო ქარხანაში მომუშავენი ყოველ ოცდახუთ კაცზე ირჩევენ ერთ დელეგატს, შემდეგ დელეგატები თავიანთ შორის ირჩევენ გამგეობას 10 კაცისაგან შემდგარს. არჩეულ იქნა 19 დელეგატი ყველა ქარხნებიდან.

დელეგატების არჩევის შემდეგ კრება გადავიდა მეორე საკითხზე—ჯამაგირზე პროცენტების მომატების შესახებ. კრება ამტკიცებს წინასწარ შემუშავებულ ნორმას, რომელიც შემდეგში გამოიხატება: ვისაც იღებს 200 მანეთამდე მიემატოს ასი პროცენტი, 250 მდე 80 პროც., 300 მდე 70 პროც., 350 მდე 50 პროც., 400—40 პროც., 450—30 პროცენტი. სამუშაო ნორმათ ადგენილია 8 საათ დღეში. კრება მოითხოვს ეს მოთხოვნილება დაუყოვნებლივ იქნას წარდგენილი „ხაზეინებისათვის". კრების დახურვის შემდეგ დარჩნენ არჩეული დელეგატები; აირჩიეს გამგეობა ათი კაცისაგან შემდგარი. გამგეობას დაევალა ცენტრ. პრ. კავშ. კავშირის გაბმა და შესაფერი ბინის მონახვა.

ივ. ქ—ვა.

თფილისის მთავარ სახელოსნოში

23 ნოემბერს თფილისის რკინის გზის მთავარ სახელოსნოში გაიმართა მიტინგი. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ვასო გოგიშვილი, მიუხედავად ამისა, რომ მიტინგის მომწვევი ბოლშევიკები მოითხოვდენ ბოლშევიკის არჩევას. ამხ. თავმჯდომარემ მოუწოდა დამსწრეთ დაეცვათ წესრიგი და გულდამშვიდებით მოესმინათ ყველა ფრაქციის წარმომადგენელთათვის.

მიმდინარე მომენტისა და ამიერ კავკასიის კომისარიატის შესახებ მოხსენება გააკეთა ლორთქიფანიძემ (ბოლშევიკი). მან ერთი საათი ილაპარაკა, მაგრამ საკითხის შესახებ არსებითათ არაფერი უთქვამს. იგი უფრო ათასგვარ დემაგოგიას გზრდიდა და ილანძღებოდა ადგილობრივ კომისარიატის წინააღმდეგ. წითამავე შემდეგ მოლაპარაკე პროვოკაციულათ არ დაერიდა, სხვათა შორის ასეთი წინადადების გადმოსროლასაც: „Иди теперь, русскій человѣкъ, и преклоняйся передъ этимъ Краевымъ Комисаріатомъ"-ო, რისთვისაც შესაფერი შენიშვნა მიიღო კიდეც ამხ. თავმჯდომარისაგან. მომხსენებლის შემდეგ ილაპარაკეს ამხ. ვ. ჯუღელმა, ერთი ბოლშევიკთაგანმა, ალ. ლომთათიძემ, ქარცივაძემ (ს.-რ.) და ლასა მეველიძემ. ლასას გამოსვლამ დიდი ოვაციები გამოიწვია დამსწრეთა შორის.

საპასუხო სიტყვაში მომხსენებელმა კვლავ დემაგოგიის გუდას მოუხსნა თავი და ყოველივე საშუალებით ცდილობდა როგორმე ხალხი გაეტეხა ამიერ კავკასიის კომისარიატისათვის.

ხმის დიდი უმრავლესობით მიღებულ იქნა ამხ. ალ. ლომთათიძის რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს რუსეთში ცენტრალური, ყველას მიერ აღიარებულ რევოლუციონერი მთავრობის შექმნას, რომელშიაც შევლენ ყველა სოციალისტები ბოლშევიკებიდან დაწყებული სახალხო სოციალისტებამდე. რეზოლუცია ნდობას უცხადებს ამიერ კავკასიის კომისარიატს, მიესალმება მის შექმნას და საჭიროთ სცნობს მის არსებობას და მოითხოვს, რომ კომისარიატმა განაგრძოს მის მიერ უკვე დაწყებული მუშაობა ქვეყნის მასშტაბით ფინანსიური და ეკონომიური ზნეობის ჩამოსაგდებათ, რომ შემდეგში მისი ნაბიჯი იქნას საკამიზიტო, საფუძვლიანი, სამინისტრო და მასიურ მემამულეთა მიწების ჩამორთმევა და გლეხთა სადგილ-მამულო კომიტეტების განკარგულებაში გადაცემა, წარმოებათა, ჩ. ნ. ბანკების და ს.ს. ვაჭრობის, კონტროლის და წესები წარმოებისა და მოხმარებაზე, დემობილიზაციის საქმის მოწესრიგება, საზოგადო სამუშაოთა მოწყობა, სპეკულიანტებისა და კონტრ რევოლუციონერების წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა, ყოველგვარი საშუალებების მიღება პურით ფრონტისა და ზურგის უზრუნველსაყოფათ, ყველა რევოლუციონერ კომიტეტებთან კავშირის დაჭერა ერთი მთლიანი რევოლუციონური ფრონტის შესაქმნელათ და დამფუძნებელ კრების დანიშნულ დროზე მოწვევისა.

ს. შალაკაძე.

ჯარის-კაცთა წერილები

თფილისი. 25 ნოემბერს მე 5-ე ქართულ პოლკში მოწვეული იყვნენ ყველა პარტიის წარმომადგენელნი. მიტინგის მოწვევა გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: 24 ნოემბერს პოლკის ერთ როტაში შემოსულიყო ვიღაც ივანოვი და დაუკითხავათ პოლკის კომიტეტისა გაუწევია აგიტაცია, რომ ხალხი არ ასცდენოდა ლენინ-ტროცკის გზას და არ გაჰყოლოდნენ პროვოკატორ წერეთელს და „ქათალიკოსის" კაბის ბოლოს ჟორდანიას. სწორედ ამიტომ, რომ ჯარისკაცებს თითონ გაერკვიათ, გაიცნობოდნენ ამა თუ იმ პარტიის პოლკის კომიტეტმა მოიწვია მიტინგი. მიტინგი გაიხსნა ამხ. ქუჯიას თავმჯდომარეობით დილის 10 საათზე, მოვიდნენ 10-მდე ორატორები ბოლშევიკები და მენშევიკები. პირველათ ილაპარაკა ამხ. ვ. ჯუღელმა. მისმა ტრიბუნაზე გამოჩენამ მხურვალე ტაშის ცემა გამოიწვია ჯარისკაცებში ილაპარაკა მომენტზე და მოუწოდა ხალხს, რომ არ აყოლოდენ არამკითხე პირისფერებს და არ დაერღვიათ რევოლუციის მთლიანობა. ამხ. ჯუღელის შემდეგ ილაპარაკა ბოლშევიკმა ფილიპე მახარაძემ. პირველ თავის სიტყვებში მან აუწყა ხალხს, რომ ომი გათავდაო, რამაც გამოიწვია ტაშის ცემა, მაგრამ როდესაც მან წარმოსთქვა „ლენინის ზავი"-ო, ტაშის მაგიერ გაისმა „ძირს", მაგრამ მან მაინც განაგრძო წერეთლის და სხვების „კრიტიკა". გაისმის ხმები: „ძირს წერეთლის და ჟორდანიას" მოლაპარაკეთ მასხრობილიო, მაგრამ მან მაინც დაათავა თავის სიტყვა. მახარაძის შემდეგ ტრიბუნაზე ვხედავთ ჩვენს საყვარელ მასწავლებელ ნოე ჟორდანიას, რომლის გამოჩენამ გამოიწვია ტაშის ცემა და ურას ძახილი. ილაპარაკა, როგორც ეს მას სჩვევია, მდაბიო და გასაგები ენით. უეცრად შემოესმა გულ-შემზარავი ხმა „ძირსო". თურმე ერთი ჯგუფი ჯარისკაცებისა ყოფილან მომზადებულნი. ორიოდე ბოლშევიკის მიმდევარი ჯ. კაცებისაგან დაძახილმა „ძირსო" დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ჯარის მეტ ნაწილში. ჟორდანიას შემდეგ ილაპარაკა ივანოვმა—ბოლშევიკმა, რომელმაც ითხოვა, რომ ნება მიეცათ მისთვის რუსულად ლაპარაკისა. ხალხმა ამის ნება მისცა. როდესაც ივანოვმა გაათავა ლაპარაკი ჯარისკაცმა პაიჭაძემ მას მოსთხოვა, რომ მან ეთქვა ყველა ის, რაც გუშინ მან (ე. ი. ივანოვმა) ილაპარაკა, წინა დღით ივანოვმა სთქვა: წერეთელი პროვოკატორია და ჟორდანია კი კატალიკოსის კაბაზე მხოლოდაო, მაგრამ მან ვერ შესძლო ეს სიტყვები განემეორებინა და უცხადა ურცხვა—არ მითქვამსო, ხალხმა მას მიაყენა ძირსო და ჩამოაგდო ტრიბუნიდან. შემდეგ ილაპარაკა ჯ. კაცმა რუსმა, ის მხოლოდ მიესალმა ხალხს მე 2 თურქ. მსროლელ კორპუსის სახელით. ამის შემდეგ ილაპარაკა მე-2-ე ყურის პოლკის ჯარისკაცმა. მან, სხვათა შორის, წარმოუდგინა მიტინგს რეზოლუცია მიღებული ხსენებული პოლკის ბოლშევიკ ჯარისკაცების მიერ, მაგრამ ვინაიდან კრებაზე მხოლოდ 100-მდე კაცი იყო დარჩენილი და სხვები კი უკვე დაიშალენ, თავმჯდომარემ მიტინგი გამოაცხადა დახურულათ. აი ეხლა იწყება ერთი ფილიპე და გაზოგმამ და ახალი ჯარისკაცებს აწყვეტის ხელი და მიაყვიროდნენ რეზოლუცია. ლეგას ფილიპე და ასი კაცი და ეკიდოდნენ ტაშს და მით ამხარულებდნენ. ამ დროს ერთმა ბოლშევიკთაგანმა დაიძახა: ამხანაგებს ჩვენ ვაცნობებთ რა ხდება, მაგრამ მისაღებია თუ რა უნდოდათ ამით ეთქვათ. ჯარის ერთი და ასეთ მეორე ნაწილის მიერ მიღებული რეზოლუცია მთელი პოლკის რეზოლუციათ გამოიტანეს ბოლშევიკებმა. ეს კი როგორც ხედავთ ასე არ ყოფილა.

მზვერავი.

წერილები რედაქციის მიმართ.

7 ნოემბერს „სახალხო საქმის" № 96 ში დაბეჭდილი იყო „წერილი გორიდან" ფსევდონიმით „ვიტრომპეტენტი".

ხსენებული წერილი გაჟღენთილია პროვოკაციით და ცილის წამების სულით. საქმე შემდეგშია: 17 ენკენისთვეს ქ. გორის ხმოსნებმა ოცი ათასი მცხოვრებლის ნდობით აღჭურვილებმა ჩაიბარეს ლაზარეთების საუ-შენი; მოჰკიდეს ხელი და შეუდგნენ მუშაობას ისე, როგორც მოითხოვდა ნამდვილი დემოკრატიის პრინციპი.

ვინემ ქ. კომიტეტი მოვიდოდა, ლაზარეთების სათავეში იდგა ლაზარეთის აღმასრულებელი კომიტეტი, რომელმაც რევოლუციის ძალით ჩაიგდო ხელში ყველაფერი, წაართვა ძალა-უფლება ძველ ქ. გორის კომიტეტს, რომელიც იყო შემდგარი ცენზოვანებისაგან და ამ რიგათ ლაზარეთის ქონებას პატრონობდენ თვით თანამშრომლები.

როცა ქ. კომიტეტი მოვიდა ლაზარეთში, აღმასრულებელ კომიტეტმა თანამშრომლებისა იქონია მსჯელობა და გადაწყვიტა, გადაეცა ლაზარეთის პატრონობა ქ-ის კომიტეტისათვის, რომელსაც ჰქონდა ამაზე ყოველივე უფლება; თავისთვის დატოვებია ის, რაც ეკუთვნოდა მას ე. ი. ამორჩეული ლაზარეთის საბჭო სათათბირო ხმით, როგორც არის ყველგან.

რამდენიმე თანამშრომელმა გაიგო რა ეს გადაწყვეტილება ლაზარეთის აღმასრულებელი კომიტეტისა და მიიღო რა მხედველობაში, რომ წევრნი ქ-ის კომიტეტისა არიან სოციალ-დემოკრატები, გადასწყვიტეს არასწორით არ გაეხარებინათ გადაწყვეტილება ლაზარეთის აღმასრულებელ კომიტეტისა.

ამ უკანასკნელებს ეგონათ, რომ ლაზარეთის კომიტეტი როდესაც უსამართლობას ჩაიდის და გამოუცხადეს სასტიკი ბრძოლა თავიანთ კომიტეტს; შემოიტანეს ერთი-ერთმანეთს, რომ თავისი ცოცხალი თავით არ განაახლებინებდნენ ლაზარეთის კომიტეტს მათ გადაწყვეტილებას. ამათ აჰყვნენ „დეპუტატებიც". შემდეგ ჯგუფი ფრიად წაქეზებული მეშჩან-კრივისა, რომლითაც მისცეს ფული, აზიარონ ყოველი ლონისძიება და გაძღოლ როგორც ქ-ის კომიტეტი, აგრეთვე ის, ვინც იცავს საზოგადოების და განაცხადა ახალი ქ-ის კომიტეტის აზრებს.

ამ არამკითხე გულშემატკივრებმა არ დაიცადეს ლაზარეთის კომიტეტს, რომ დანიშნულ დროზე შეეკრიბა თანამშრომლები და ერთ მშვენიერ დღეს სახელდახელოთ მოახდინეს კრება.

დიდი არეულ-დარეულობა, რევოლვერის ტრიალი, ლანძღვა-გინება გამოიწვია ამ უთავბოლო კრებამ. მიუხედავად ამისა, კრებამ გამოუცხადა უნდობლობა ლაზარეთის კომიტეტს და ხელათ აამოირჩია „საბჭო", ყველა უფლებით აღჭურვილი, ე. ი. ამ საბჭოს უნდა ჩაეგდო ხელში ყველა ის უფლებები, რაც ჰქონდა წინეთ ლაზარეთის კომიტეტს. ამ საბჭოში მოხვდა ისეთი თანამშრომელიც, რომელიც იყო გამორიცხული უკვე ყოფაქცევისათვის; და ამ ვაჟბატონმა არივ-დარივა ხალხი და ბევრს მოატყუებინა კაცები.

ქ—ის კომიტეტიც და უფროსი ექიმიც იმას ამბობდენ, რომ ამნაირი ავტონომიაში მუშაობა არის გზით არ შეიძლება; ლაზარეთის საბჭო უნდა იყოს მხოლოდ სათათბირო ხმით, ბოლო სიტყვა ყველაფერში ეკუთვნის ქ—ს კომიტეტს.

საბჭო ამას არ სჯეროდა, ყველა უფლებებს თვითონ იტოვებდა, ქ—ს კომიტეტს უთმობდა მხოლოდ ფინანსიურ მხარეს, რომელმაც უნდა ფული აძლიოს საბჭოს და როგორ მოიხმარს ამ ფულს საბჭო, ეს ქ. კომიტეტს არ ეკითხება. რაგვარ სუსტ და ყალბ ნიადაგზე იდგა საბჭო, ამას ისიც ამტკიცებს, რომ ორი კვირის განმავლობაში ოთხჯერ გამოიცვალა საბჭოს წევრები.

ინსტრუქციის ძალით ლაზარეთის საბჭოში უნდა იყოს ყოველთვის უფროსი ექიმი. საბჭომ არც ეს ინდომა. ხსნიდენ კრებებს, ირჩევდენ პრეზიდიუმს უუფროსექიმოთ და სხვ; ამ საბჭოების შესახებ არც უფროს ექიმმა იცოდა რამე და არც ქ. კომიტეტმა. საბჭოებმა ყველას თვალით შეხედეს, როგორც ექიმს, აგრეთვე კომიტეტს.

რადგან კომიტეტს ოფიციალურად არა ჰქონდა არავითარი ცნობები საბჭოების შესახებ და არც ექიმმა იცოდა საბჭოების მოქმედება, ორივემ მხარემ იცნეს თვითარსებობით ამნაირ საბჭოებისა უცნობათ და ამიტომ არაფერი დამოკიდებულება არ იქონია კომიტეტმა ის და საბჭოს შორის.

როდესაც ამ არეულ-დარეულ გზას დაადგნენ საბჭოს „გმირები", კომიტეტს მოუვიდა ოფიციალურად ლექსზე: „შემცირებით ხარჯი ლაზარეთისა 50 პროცენტით"-ო.

კომიტეტს უნდა გადაეწყვიტა და შეედგინა სია თანამშრომლების დასათხოვნელად, მაგრამ თვითონ არ იდგა თავს ამ კითხვის გადაწყვეტა და, როგორც დემოკრატიის პრინციპების მიმდევარმა, ეს საკითხი გადასცა თანამშრომლებს.

დაიბარა ყველა დარგის მოსამსახურე და სთხოვა შეედგინათ სიები, ვინც უნდა წასულიყვნენ ლაზარეთიდან. დაბალ მოსამსახურეებმა თვითონ კომიტეტს მიაწოდეს სიის შედგენა, განაცხადეს, რომ კომიტეტი უფრო სამართლიანათ გაარჩევსო.

მოწყალების დებმაც უარი განაცხადეს და დასძინეს, ჩვენ ქ. კომიტეტს არც ვიცნობთ და არც ანგარიშს ვუწევთო. ამის შემდეგ თვითონ კომიტეტმა შეადგინა სია და აცნობა თანამშრომლებს. ამ სიამ გამოიწვია უკმაყოფილება ერთი სამი-ოთხი კაცისა, რომელნიც ცნობილნი არიან მიშტირკებში; ჩაუდგნენ სათავეში ამ დათხოვნილ ხალხს და იწყეს იერიში მიტანა უფროს ექიმზე და კომიტეტზე.

ამ ალყიან-წახნილ მელადებს ეგონათ, რომ სია შედგენილია მხოლოდ და მხოლოდ უფროს ექიმისაგან.

დაარწმუნეს რა ამაში ყველა გამორიცხული სამოცი კაცამდე, შეკრიბეს ეს ხალხი და დაადგინეს, გამოეცხადათ უნდობლობა უფროს ექიმს. ამ ფაქტს ბელადებს ეგონათ, რომ უფროს ექიმისათვის ძალიან საჭიროა ნდობა გამორიცხულებისა!

როგორც ხედავთ, მკითხველო! უნდობლობა გამოუცხადეს უფროს ექიმს გამორიცხულებმა, რაც სრულებითაც არ არის საკვირველი.

გაიგეს თუ არა ეს განაჩენი მოსამსახურეებმა, მაშინათვე ჩამოატარეს ქაღალდი და სამოც და ათის ხელის მოწერით გამოუცხადეს ნდობა უფროს ექიმს, თანაქვს ერთხმათ დარჩენილებმა.

წერილში სწერია, უფროსს ექიმს აძლევდაო ოთხმოცდა სამი შავი ხმა; როგორ შეიძლება ეს ოთხმოცდა სამი ხმა, ეს კრების თავმჯდომარის სინდისზე მიმინდვია. ბ. კორესპონდენტს ჰგონია, რომ უფროსი ექიმი არ მიდისო! დასახაც საკვირველიც და გასაკვირიც იქნებოდა მაშინ, თუ ისე დატოვებული ყოფილიყო საქმე, როგორც თქვენ სწერთ. მაგრამ თქვენი წერილი სიმხდლით არის მიცემული, არ არის დაცული უბრალო ეტიკეტიც კი და ამიტომ არის, რომ ის უფროსი ექიმი, რომელიც თქვენ ამოიღეთ მიზანში, დღეს არის ლაზარეთში იმიტომ კი არა, რომ ეს არის ან სოციალ-დემოკრატი ან ამის სწორედ, არა და არა! ამას მოითხოვს ლაზარეთის თანამშრომლების სურვილი, რომელიცა წერილობითი სურვილი გამოაცხადეს და კომიტეტს მოსთხოვეს, რომ უეჭველად უფროსი ექიმი დარჩენილიყო უფროს ექიმათ.

უფროსი ექიმი, რომ დარწმუნებულიყოს იმის არათუ ოთხმოცდა ცხენტის უნდობლობაში, არამედ ერთი მესამედიც, რომ გამოეცხადებინა ნდობა, დღესვე დაანებებდა თავს.

რაც შეეხება იმ ხმებს, ვითომ უფროსი ექიმი აპრილშივე უნდა დაეთხოვათო, უნდა გითხრა ბ. „ვიტრომპეტენტო", რომ, როცა სწერთ რამეს არ კმარა მარტო კალამის წკარა-წკური, ცოტათი ტვინის ამოძრავებაც უნდა დააყოლოთ ხოლმე.

ამ ფაქტს სრულებით არა ჰქონია ადგილი არათუ აპრილში, არც ერთ თვეში ამ სამი წლის განმავლობაში ლაზარეთის სამსახურის დროს ჩემდამი. აი რა მოხდა აპრილში: ერთმა ქურდ-მოცლამ დამისმენ კამანდირმა დააპირეს ლაზარეთის საბჭოში თავის ამოყოფა და დაიწყეს ამ ნიადაგზე მუშაობა მოსამსახურეების შორის.

მე გავიგე ეს ამბავი, მოვიწვიე თანამშრომლება, გადავეცი [illegible] პირები, და დავსძინე: „თუ ესენი გავლენ საბჭოში, მე წავალ ლაზარეთიდან". ამის შემდეგ ისე გაიშვეს ეს პირები, როგორც მევარტლი. იმ ვაჟბატონს მე დაუმტკიცე ქურდობა და გაძევებულ იქნა ლაზარეთიდან. მე კი დავრჩი, რადგან ეს ხალხის სურვილი იყო.

დიდი მოთმინება და სიდინჯე გამოიჩინა ქ. კომიტეტმა და თავისი დემოკრატიული პრინციპების მიხედვით ხმაც არ ამოუღია, როცა გამორიცხულებმა გამოუგზავნეს ეგრეთ წოდებული „კომფლიქტიანი კომისია" და სთხოვეს ერთად შეედგინათ სია გამორიცხულებისა. კომიტეტმა დიდის სიამოვნებით მიიღო ეს კომისია, შეადგინეს ერთად, მოილაპარაკეს, ჩამოართვეს ეს სიები და გაარჩია დაწვრილებით და შეადგინა საბოლოოთ სია გამორიცხულებისა (ცოტათი შეცვლილ მხოლოდ).

ამ სიამაც გამოიწვია პროტესტი და მაშინათვე აფრინეს ერთი ზოლიანთაგანი თფილისში. ამ ზოლიანმა აამოძრავა უმთავრესი კავკასიის კომიტეტი, ფეხზე დააყენა იგი, ისე აღელვა კომიტეტი ამ ზოლიანის ცნობებმა, რომ მაშინათვე დანიშნეს რევიზორი და მეორე დღესვე აფრინეს გორში. ამოვიდა რევიზორი, გამოიძია ყოველგვარი დაწვრილებით. მოისმინა ერთი მხარესაც და მეორესაც და იცი ბ-ნო „ვიტრომპეტენტო" რა უთხრა კომიტეტს და თანამშრომლების წარმომადგენლებს? ვგონებ არ გესიამოვნებათ, მაგრამ უნდა იქონიოთ მოთმინება და მოისმინოთ.

რევიზორმა უთხრა წარმომადგენლებს: ყველა რაც ჩიოდენ კომიტეტს სამართლიანია და კანონიერია. ნამდვილი დემოკრატები ყოფილან და პატიოსნურათ დაუცავთ დემოკრატიული პრინციპი, ვთხოვ კომიტეტს გააგრძელოს შემდეგშიაც ამნაირი მუშაობა და არ გადაუხვიონ ამ გზას. თქვენ თანამშრომლებო! გირჩევთ ამოირჩიოთ „ლაზარეთის საბჭო", რადგანაც საბჭოები, რომელიც ყოფილან უკანონო არიან და არის. აირჩიეთ საბჭო სათათბირო ხმით, ბოლო სიტყვა, სიტყვა გადამწყვეტი ეკუთვნის მხოლოდ და მხოლოდ კომიტეტს.

უფროს ექიმის შესახებაც ჩადენილია უსამართლობა და ამას ვიტყვი აქ, სადაც ჯერ არს. ასეთი უსამართლობა იშვიათად თუ სადმე ხდებოდეს. მე აქ კონფლიქტს ვერა ვხედავ, არის ქიშპი, ინტრიგა სამი პირისა და ესენი აუცილებლივ უნდა ყოფილიყვნენ გაძევებულნი ლაზარეთიდან. ტყუილათ მოიმაცდინეთ და დამაკარგვინეთ ძვირფასი დროი".

აი რევიზორის დასკვნა. რასაკვირველია თქვენ „ვიტრომპეტენტო" თუ შეგრჩენიათ სინიდისი უნდა გაწითლდეთ და შემდეგში მაინც მისცეთ ანგარიში თქვენ წკარა-წკურს, მაგრამ.. მაგრამ ის რომ „ვიტრომპეტენტს" რომ სინიდისის ნატამალი ჰქონდეს, ამისთანა უთავბოლო წერილებს არ გაგზავნიდა გაზეთში და თავს არ შეირცხვენდა. რაც შეეხება იმას, რომ უფროსი ექიმი არ არის სოციალ-დემოკრატი, ეს პროვოკაციული სიტყვებიც ხომ ვერას მოგიტანენ! ვერ მიგაწვდენენ მიზანს. უფროსი ექიმის სოციალ-დემოკრატობაში ჯერ ეჭვი არავის არ შეუტანია და თუ რაიმე იქნება ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიის კოლექტივს უფრო ეცოდინება, რადგანაც ყველა წევრი სატივ ყურადღებას აქცევს და ყოველი ნაბიჯი თავისი წევრისა მხედველობაში აქვს.

უფროსი ექიმი გორის ლაზარეთებისა მიხეილ ხარიტონის ძე კობერიძე.

ბ ი უ რ ო

მეოთხე რაიონულ კოლექტივის რ. ს.-დ. მ. პ. მოთავსებულია მე 6 სავაჭრო გიმნაზიაში (ფიდელეს ქ. № 3) აქ შეიძლება გამოწერა გაზეთებისა: „ერთობა", „ბრძოლა" და „ფიქრი". იყიდება სხვა და სხვა ბროშიურები. ბიურო ღიაა ყოველ-დღე: 4-დან 8 ს-დე.

24 ნოემბერს, თფილისში ვორონცოვის ქუჩაზე

დაიკარგა

უბის წიგნი, რომელშიაც იყო ფული 18 მ. 5 თვე ქართული პოლკის მიცემული პირადობის მოწმობა. 161 ამბულანსის პოლკის მიცემული სამსახურის მოწმობა 20 მ. კვიტანცია და სხვა უბრალო წერილები. მნახველს ვსთხოვ ფული თითონ დაიტოვოს და სხვა ქაღალდები უკანვე დაუბრუნოს შემდეგი მისამართით: 5-ый Груз. стр. полкъ 2-ая пулеметная команда Шалва Леванович Чачибая. მე-5 პოლკის ჯარის-კაცი შალვა ლევანის ძე ჩაჩიბაია.

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, საღ. 5—7 საათამდე. გუნიის ქ. № 41.

ექიმი

ანტიძე

შინაგანი ავადმყოფობანი და ავადმყოფობანი ყურისა, ყელისა, ცხვირისა და თვალისა. მიღება ყოველ-დღე გარდა უქმეებისა, დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. შაბათობით უფასოთ, ბებუთოვის ქ. 26.

ხელოსნურ-მხატვრული სტამბა რუსთაველის გამზირზე შენობა № 1.